

# ქვეყანა



# ქვემო ყვესი

47

საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოება  
ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ  
GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION OF CULTURAL MONUMENTS



თბილისი  
ზიზლინის ქ.



სერია: „მატირიალური კულტურის ძეგლები“



# ქ ე გ ლ ი ს ქ ე ო ლ ქ ე ო ბ ა რ ი

სერიის რედაქტორი — ირაკლი ციციშვილი  
რედაქტორი — თენგიზ ფარაძე

Редактор серии — Ираклий Цицишвили  
Редактор — Тенгиз Фарадзе

გ ა მ მ ღ ი ს   ს ა უ რ მ ა დ რ ა ბ რ ი ვ   ს ა წ ე ი ს ე ბ ე ჯ ა

---

სარედაქციო კოლეგია: ირაკლი აბაშიძე, ვახტანგ ბერიძე, ირაკლი ბოლქვაძე (პ/პე. შდიენა), ლალო გუდიაშვილი, ოთარ თაყთაიშვილი, ირაკლი ჭაჭავაძე, ნიკო კაცორავაძე, ოთარ ლორთქიფანიძე, ლევან შატარაძე, ოთარ სანუბლიძე, თენგიზ ფარაძე, გიორგი ჩიტაია, ვახტანგ ცინცაძე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო  
დადგენილება „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და გუნების  
ძეგლების დაცვა-გამოყენების საკითხის შესახებ“.

საქართველო  
სსრკ-ის ცენტრალური  
კომიტეტი

თავის დადგენილებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიული, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების, შემოქმედებითი კავშირებისა და საზოგადოებების ურთადლება მიიღო ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების საქმის შემდგომი სრულყოფის აქტუალურ საკითხებს და ხაზი გაუსვა, რომ ამ საქმეში უნდა ვიხელმძღვანელოთ ლენინური მოძღვრებით სოციალისტური კულტურის შესახებ. სკკ XXV ყრალის გადაწყვეტილებებით. სსრ კავშირის სახელმწიფო კანონით „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“. სსრ კავშირის კონსტიტუციით, პარტიისა და მთავრობის დარეგულირებით, სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის დ. ი. ბრეგენვას მითითებებით გამარჯვებული სოციალისტების ქვეყნის მშრომელთა იდეურ-ეთიკური პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდაში კულტურის გაზრდილი როლის შესახებ.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ რესპუბლიკის პარტიულმა, სახელმწიფო, საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, უკანასკნელ ხანს გააუმჯობესეს მუშაობა ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და საქართველოს მშრომელთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდაში მათი გამოყენების საქმის შემდგომი სრულყოფისათვის.

რესპუბლიკაში სისტემატურად იზრდება ასივნებანი ძეგლების აღდგენა-კონსერვაციისათვის. შტო ურთადდება ეთმობა მომდინარე სარესტავრაციო სამუშაოთა ხარისხს. მიღებულია მთავრობის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი ძველი თბილისის დაცვის ზონის შექმნისა და მისი რევიმის დამტკიცების, ქალაქების სიღნაღისა და თელავის ძველი რაიონების, ქალაქ მკვთაის, აგრეთვე მესტიის, უშგულისა და სხვათა სახელმწიფო ნაქრძალბად გამოცხადების შესახებ.

საგრძნობლად ამაღლდა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზების, მშრომელთა კოლექტივების აქტიურობა. საქართველოს კომპარტიის ქუთაისის, გორის საქალაქო კომიტეტებმა და საქალაქო აღმასკომებმა, საქართველოს კომპარტიის ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, გურჯაანის, ზუგდიდის, მხარაძის, თელავის, წულეუძის, ცხაქაიას, ზობის, ზობხატარის, ჩხორიწუხისა და სხვა რაიონებმა და რაიონალურ კომიტეტებმა, განახორციელეს მთელი რიგი ღონისძიებანი ისტორიულ-რევოლუციური დიდებისა და კულტურის ძეგლების დაცვის გაუმჯობესებისათვის; გაიხსნა მუზეუმები საზოგადოებრივ საწყისებზე. გაუმჯობესდა მუშაობა ძეგლების პროპაგანდისათვის. მათს ბაზაზე შეიქმნა კულტურის სახალხო უნივერსიტეტები. შემუშავებულია და ხორციელდება დიდი სამამულო ომის გმირებისადმი მიძღვნილი მემორიალების, ხალხის საბრძოლო და შრომითი გმირების ამსახველი ისტორიულ-რევოლუციური ძეგლების მოკლდის ეტეტიანი ღონისძიებანი, ამასთან ფართოდ იყენებენ მათ ახალგაზრდობის პატრიოტული აღზრდისათვის.

ძეგლების გამოვლინის, შესწავლისა და დაცვის საქმეში ახალგაზრდობის ჩაბმის საინტერესო ფორმა ვახდა კულტურის ძეგლების მოყვარულთა — საშუალო სკოლების მოსწავლეთა რესპუბლიკური დათვალიერება — კონკურსები.

რამდენადმე გააქტიურდა კულტურის ძეგლების დაცვის რესპუბლიკური საზოგადოებისა და მისი ადგილობრივი ორგანიზების მუშაობა, გაუმჯობესდა კრებულ „ძეგლის მეგობრის“ წინაარსი, რომელსაც საზოგადოება გამოსცემს.

ამ მიმართულებით გარკვეული დადებითი ძვრები შეიმჩნევა საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მუშაობაში.

უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკაში დასახამი მაცვა და ვითარდება ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების, კარსტული მღვიმეების კეთილმოწყობისა და ექსპლუატაციის ახალი და პერსპექტიული საქმე. საექსპლუატაციოდ გადაეცა ახალი ათონის მღვიმეთა კომპლექსი, შედგენილია ზოგიერთი სხვა კარსტული მღვიმის ათვისების პროექტი.

სსრკ-ის ცენტრალური კომიტეტი

ამასთანავე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნა ის სერვისული ნაკლოვანებანი და ხარვეზები, რომლებიც არის რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვისა და გამოყენების საქმეში.

ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები ხშირად ჭეშოვნად არ იყავნენ ისტორიისა და კულტურის ძეგლების მნიშვნელობას მშრომლების, უწინარეს კვლევის, ახალგაზრდობის პატრიოტულ და ინტერნაციონალურ-ესთეტიკურ, ზნეობრივ აღზრდაში.

რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში პარტიული და საბჭოთა ორგანოები არ იჩენენ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მიდგომას ძეგლების დაცვისა და გამოყენების საქმისადმი. ჭეშოვნად არ ზრუნავენ დირექტორული ორგანოების იმ დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების შესრულებისათვის, რომლებიც წარსულს კულტურული მემკვიდრეობის მოფრთხილებას ეხება. არ წარმართავენ და სათანადო კონტროლს არ უწევენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას. არ ახამენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში ფართო საზოგადოებრიობას.

არის შემთხვევები, როცა ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები არ ზრუნავენ კულტურის ძეგლების დაცვისათვის. ზუგდიდის, მახარაძისა და სხვა რაიონებში არ აღმოფხვრილა ისტორიული ძეგლების ტერიტორიაზე მოცვალებულთა დაკრძალვის, დაკულ ზონებში ცალკეულ ნაგებობათა მშენებლობის ფაქტები.

რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ვერ მოუგვარებია ძეგლების აღრიცხვა, რევიტრაცია და მათი მდგომარეობის ფიქსაცია, არ განუსაზღვრავს დასაცავი ზონები, აღრიცხვაზე არ არის აყვანილი რეკონსტრუქციული მოვლენებთან, სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობასთან დაკავშირებული უველა საშახსოვრო ადგილი, ნაგებობა და მემორიალი. სამინისტრომ ვერ უზრუნველყო სარესტავრაციო სამუშაოთა წინასწარი და პერსპექტიული დაგეგმვა. ვერ აღმოფხვრა სახსრების გაფანტვის შემთხვევები. ჭეშოვანი წესრიგი არ არის დამკარგებული არც საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს სპეციალურ სამეცნიერო-სარესტავრაციო ს. წარმოო სახელოსნოში. სამინისტროს უნაღდებიდან გამორჩა ისეთი საკითხები, როგორიც არის საწარმოო-ტექნიკური და საფინანსო გეგმების საგეგმო თვითღირებულების ელემენტების გაანგარიშების, სამუშაო პროექტების შედგენა. არ არის დანერგული მეცნიერულად დასაბუთებული საპროექტო დავალებების შედგენა, შეთანხმება და დამტკიცება. არ იგრძნობა ზრუნველობა ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, სახელოსნოსა და მისი ქვეგანყოფილების მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

დამკარგოფილებლად არ არის დაყენებული არქეოლოგიური ძეგლების ფიქსაციის საქმე. რესპუბლიკაში არ მოგვემოყვება ცენტრი, რომელიც არგველირებდეს და კოორდინაციას უწევდეს არქეოლოგიის ძეგლების ფიქსაციის, დაცვისა და გამოყენების საქმეს. დაინტერესებული უწუებები არ გამოყოფენ სახსრებს არქეოლოგიურ ექსპედიციებს წინასწარი საკონსერვაციო სამუშაოებისათვის, არ მოგვარებულა აგრეთვე გაუთხრელი და შეუსწავლელი არქეოლოგიური ძეგლების საკითხი.

სერიოზული ნაკლოვანებანია რესტავრატორთა კადრების, განსაკუთრებით ახალგაზრდობის მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში. თბილისის სამხატვრო აკადემია ჭეშოვნად არ ზრუნავს სპეციალისტ-რესტავრატორთა სწავლების ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის.

კულტურის სამინისტროს კოლეგია ძალზე იშვიათად განიხილავს ძეგლების დაცვის მდგომარეობის საკითხებს. ჭეშოვანი მომთხოვნელობით არ ეკიდება კულტურის ადგილობრივ ორგანოებს.

უკანასკნელ წლებში მუშაობას უკლო საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის კულტურის ძეგლების დაცვის სამეცნიერო საბჭომ.

ისტორიისა და კულტურის ძეგლების დაცვაში სათანადო აქტიურობას არ იჩენენ რესპუბლიკური და ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ კონტროლს იმ პართა მყავტი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის შესრულებისადმი, რომლებსაც ბრალი მიუძღვით კულტურის ძეგლების დაზიანებასა ან განადგურებაში. ამ მხრივ განსაკუთრებით შეშაშფოთებელი მდგომარეობაა ცხინვალის, თერჯოლის, ვარძანის, იმანლის, თეთრიწყაროსა და სხვა რაიონებში.

წარსულის კულტურული მემკვიდრეობისათვის მშრომლების, უწინარეს უკვლისა კი ახალგაზრდობის წიარების საქმეში ნაკლებ ინიციატივას იჩენენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრო, შემოქმედებითი კავშირები და საზოგადოებანი. საქართველოს პროფსაბჭო და რესპუბლიკის ალკ ცენტრალური კომიტეტი.

ვერ გარდაუქმნია მუშაობა ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკურ საბჭოს, რომელიც არ მონაწილეობს არქიტექტურული კომპლექსების აღდგენაში.

არ იუენებს მათ დახვეწებისა და მასობრივი ტურიზმის წონების მოსაწყობად.

აღევანდელობის მოთხოვნებს ჭერ კიდევ ჩამორჩება კარსტული მღვიმეების კეთილმოწყობა და ათვისება.

რესპუბლიკის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, პრესა, რადიო და ტელევიზია ჭერ კიდევ არ ეწევიან სათანადო მუშაობას ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების პროპაგანდის, პოპულარიზაციისა და იმ მიზნით გამოყენებისათვის, რომ ხელი შეუწყონ მშრომელთა იდეურ — და ესთეტიკურ აღზრდას. გამოუმუშაონ თითოეულ მათგანს ქვეყნისა და დისციპლინის მაღალი კულტურა, სახალხო ეთოვნელებისადმი მზრუნველი დამოკიდებულება, აქტურად ჩააბან ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში მთელი საზოგადოებრიობა.

**ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საპარტოველოს კომაპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დააპაღა:**

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭოს აღმასკომს, რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების აღმასრულებელ კომიტეტებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს პროფსაბჭოს, რესპუბლიკის ალკ ცენტრალურ კომიტეტს, შემოქმედებითი კავშირებს და საზოგადოებებს, რესპუბლიკის ყველა საზოგადოებრივ ორგანიზაციას განახორციელონ საქირო ღონისძიებანი, რათა განხორციელდ სრულდებოდეს კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“. უზრუნველყონ რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული ბუნების, ისტორიის, არქეოლოგიის ქაქალქმშენებლობის, არქიტექტურის, მონუმენტური ხელოვნების ყველა ძეგლისა და დოკუმენტურა ძეგლების დაცვა, ჩააბან პრაქტიკულ საშეფო მუშაობაში ორგანიზაციები და კოლექტივები. ფართო საზოგადოებრიობა, რაციონალურად გამოიყენონ ძეგლები დასვენებისა და მასობრივი ტურიზმის წონების მოსაწყობად;

აღდგენილებში აღნიშნულია, რომ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტები, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის სახალხო დეპუტატთა საოლქო საბჭო, რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული აღმასრულებელი კომიტეტები, სამინისტროები და უწყებები სისტემატურად და მიზანდასახულად უნდა ეწეოდნენ მასობრივ-საავიგაციო მუშაობას, რათა მოსახლეობას, განსაკუთრებით ახალგაზრდობას განუშარტონ, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ძეგლების დაცვისა და მათს გამოყენებას საბჭოთა ადამიანების — კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის სულიერი საყაროსა და ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბებისათვის.

დასახულია ღონისძიებათა კომპლექსი, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ დარგში საქმის მდგომარეობის გაუმჯობესებას. ამასთან დავაწირებით საქართველოს სსრ კულტურის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, კავშირგაბმულობის, საავტომობილო გზების, მელორაციისა და წყალთა მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის, სამენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებს, საქართველოს სსრ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს, რესპუბლიკის გამსახკომს, სახტელერადიოს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის გ. ჭუბინაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის ინსტიტუტს, განესაზღვრათ კონკრეტული ამოცანები.



საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოიქვა რწმენა, რომ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სახალხო დეპუტატთა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოები, საინინსტროები და უწყებები, კულტურის ძეგლთა დაცვის რესპუბლიკური საზოგადოება, კულტურის უველა მუშაკი, სამრეწველო საწარმოებისა და საგანმანათლებლის კოლექტივები, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობა, რომლებიც შეიარაღებული არიან სკკპ XXV ურილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ურილობის გადაწყვეტილებებით, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციით, წარმატებით გაართმევენ თავს მათ წინაშე დასაუღრთულსა და საპატიო ამოცანებს და უოველ ღონეს იხმარენ, რათა ძირეულად გაუმჯობესონ ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გაპოყენება რესპუბლიკის მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ეფექტიანობის ასაშაღლებლად. (საქინფორში).

---



წარსული ეპოქების კულტურული მემკვიდრეობის, ძველი მატერიალური კულტურისა და ხელოვნების ძველთა მეცნიერული შესწავლა, დაცვა და მოვლა-პატრონობა საბჭოთა სახელმწიფოს განსაკუთრებული ყურადღების საგანია. სსრკ-კონსტიტუციის ნმ-ე მუხლის თანახმად „ისტორიული ძეგლებისა და სხვა კულტურულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა“. ჩვენს ქვეყანაში ამჟამად მოქმედებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიერ 1976 წლის 29 ოქტომბერს მიღებული სახელმწიფო კანონი „ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ“.

ესაა უაღრესად დიდი მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია ისტორიისა და კულტურის ძეგლთა უდიდესი მეცნიერული, მხატვრულ-ესთეტიკური და კულტურულ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა თანამედროვე საზოგადოებაში. ამავე დროს, ახალი სახელმწიფო კანონი საკმაოდ ამომწურავად და ნათლად არეგულირებს კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების მრავალფეროვან ასპექტებს. ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა ყურადღება არქეოლოგიური ძეგლებისადმი: ახალ სახელმწიფო კანონში კულტურის ძეგლთა შორის მათ ერთ-ერთი ყველაზე საპატიო ადგილი აქვთ მიიჩნილი. სახელმწიფო კანონში იშვიათი მეცნიერული სიზუსტითაა ჩამოთვლილი ყველა სახის არქეოლოგიური ძეგლი: „ნაქალაქარები, ყორღანები, ძველი დასახლებების, ციხე-კოშკების, საწარმოების, არხების, გზების ნაშთები, ძველი სამაროვნები, ქვის ქანდაკებები, კლდეზე გამოსახულებები, ძველი ნივთები, ძველი დასახლებული პუნქტების ისტორიული უბნები, კულტურული ფენები“.

ყველაფერი ეს სახელმწიფოს დაცვის საგანდაა გამოცხადებული, იმიტომ რომ დღეს განუზომლად გაიზარდა კულტურის ძეგლებისა და მათ შორის არქეოლოგიური ძეგლების, როგორც მეცნიერული, ასევე საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამის გამოა, რომ ახალ სახელმწიფო კანონში სამშენებლო, სამელიორაციო თუ სხვა სამუშაოების დროს არქეოლოგიურ ძეგლთა წინასწარ მეცნიერულ შესწავლას და მათ დაცვა-გადარჩენას აგრე დიდი მნიშვნელობა ექცევა. სახელმწიფო კანონის 24-ე მუხლის თანახმად სამშენებლო, მელიორაციული, საგზაო და სხვა სამუშაოების დროს ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული ან სხვა კულტურული ღირებულების მქონე არქეოლოგიური და სხვ. ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში, საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები ვალდებული არიან აცნობონ ეს ძეგლთა დაცვის სახელმწიფო ორგანოს და შეწყვიტონ სამუშაოები. ამავე დროს სახელმწიფო კანონის 23-ე და 24-ე მუხლების თანახმად შემოაღნიშნული დაწესებულებები ვალდებული არიან დააფინანსონ მშენებლობის ზონაში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლების ყოველმხრივი შესწავლა.

ასე, რომ ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მეცნიერებისა და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ღონისძიებაა და საერთო საბალხო საქმეა. ამიტომაცაა, რომ ამას წინათ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება: „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

ამ დადგენილებაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში მოპოვებულ წარმატებებთან ერთად აღნიშნულია მთელი რიგი ნაკლოვანებანი და სამართლიანადაა გაკრიტიკებული ძეგლთა დაცვის სახელმწიფო დაწესებულებანი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ამასთან დასახულია უაღრესად ჭმედითი და ეფექტური ღონისძიებანი. სრულიად გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს კაცის ეს დადგენილება ქმნის ახალ ეტაპს ჩვენს რესპუბლიკაში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და მისი თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისად გამოყენების დიდსა და კეთილშობილურ საშვილიშვილო საქმეში. ჩვენი საზოგადოების ვალია ყველა ღონე იხმაროს ამ დადგენილების ცხოვრებაში ეფექტურად გასატარებლად.

---



მერვე წელია ჟინვალის ჰიდროკომპლექსის მშენებელთა მხარდამხარ არაგვის ხეობაში მუშაობს აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ჟინვალის კომპლექსური არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელმაც განვლილი წლების მანძილზე არა ერთი უაღრესად საყურადღებო ძველი გამოავლინა და საგრძნობლად გაამდიდრა ჩვენი სამუსეუმო ფონდები პირველხარისხოვანი მონაპოვარით.

რა თქმა უნდა ჟინვალის ექსპედიცია უმთავრესად ყურადღებას აქცევს უშუალოდ დატბორვის არეში მდებარე ძეგლების გათხრა-შესწავლას, მაგრამ მშენებლობა ისე დიდ ფართობზე გაიჭიმა და მისმა განხორციელებამ ისეთი ცვლილებები გამოიწვია ამ მხარეში, რომ ფაქტიურად არქეოლოგთა თვალსაწიერში მოექცა მთელი არაგვის ხეობა, განსაკუთრებით რთული პრობლემების წინაშე დაგვავყენა ახალი გზების მშენებლობა, რასაც არაგვის ხეობის საკმაოდ დიდ ნაწილში მოჰყვა ძველ ნამოსახლართა დაზიანება.

ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ სადღეისოდ გაითხარა ან ითხრება ორმოცამდე ობიექტი, რაც მხოლოდ ნაწილია იმ ძეგლებისა, რომელთა შესწავლაც საამშენებლო ზონაში გარდაუვალია. ამასთანავე სადაზვერვო სამუშაოების მეოხებით ჟინვალის შემოგარენში და განსაკუთრებით არქეოლოგიურად ხელუხლებელ ფშავის არაგვის ხეობაში გამოვლინდა ასობით მანამდე უცნობი ძეგლი, რომლებსაც ფასდაუდებელი სამსახურის გაწვევა შეუძლიათ არა მარტო არაგვის ხეობის ისტორიის, არამედ ბურუსით მოცული მრავალი ისტორიული საკითხის გასარკვევად აღმოსავლეთ საქართველოს მასშტაბით.

ამ მრავალრიცხოვან ძეგლთა შორის განსაკუთრებით თვალშისაცემია ისტორიული ფხოვის მიწაწყალზე ქრისტიანული ეკლესიების სიმრავლე, რომელთა შორისაც საკმაოდ დიდი ჯგუფი ადრეშუასაუკუნეებით თარიღდება. ქრისტიანული ზუროთმოძღვრების ახალ ძეგლების აღმოჩენა მთიანი საქართველოს ამ ნაწილში გვაძლევს მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხს ადრე და შუაფეოდალური ხანისათვის რამდენადმე ახლებურად მიუდგეთ.

უაღრესად ფართოა ჟინვალის ექსპედიციის მიერ მიკვლევულ არქეოლოგიურ ძეგლთა ქრონოლოგიური დიაპაზონიც. წლების მანძილზე დაგროვილი უხვი მონაპოვარი ასახვს ჩვენს წინაპართა მატერიალური კულტურისა და ისტორიის თითქმის ყველა საფეხურს, ქვის ხანიდან მოყოლებული გვიანფეოდალური ხანის ჩათვლით.

ადრეულ ძეგლთა შორის, ამ ბოლო ორი წლის მანძილზე, განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია ჟინვალისა და ქვემო არანისის ნამოსახლარებმა, სადაც ადრელითონების და მეტადრე მტკვარ-არაქის კულტურის დროინდელი ბრწყინვალე მასალები ჩნდება. ამ აღმოჩენებით არაგვის ხეობაში დადასტურდა მტკვარ-არაქის კულტურის კიდევ ერთი მძლავრი კერა.

ახალმა მასალებმა და განსაკუთრებით კი თიხის ტურქლის მეტად მრავალფეროვანმა ნიმუშებმა, შესაძლოა ახლებური შუქი მოჰფინონ არა მარტო შიდა ქართლის,

არამედ მთლიანად ამ დიდი კულტურის ზოგიერთ თავისებურებას და მის კავშირ-რთიერთობას ჩრდილოეთისა და სამხრეთის ქვეყნებთან. რამაც შესაძლოა ამ შორეულ წარსულშივე გვაგულისხმებინოს არაგვის ხეობაზე შებმული გზების არსებობა.

მნიშვნელოვანი შედეგებით დაგვირგვინდა საამშენებლო ზონაში ანტაკურა-ხანის ძველთა კვლევის საქმეც. პიდროკომპლექსებთან დაკავშირებულ მოედნებზე აღმოჩნდა და გაითხარა ძველი ნამოსახლარები და სამაროვნები, რომელთა შორისაც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ახალ ენვალში (ოფიციალურად ეწოდა დაბა ენვალი) აღმოჩენილი ელინისტური ხანის ნამოსახლარი. ამ ნამოსახლარის ერთერთი ხუროთმოძღვრული კომპლექსის თხრისას აღმოჩნდა ნასტაკის-სამადლოს ტიპის წითლად მონახტული ჭურჭლის ნატეხები, იმპორტული ამფორისკები, ცხენის ტერაკოტული ქანდაკებები და სხვა, რაც საშუალებას გვაძლევს ძველი ძირითადად ძვ. წ. II-I საუკუნეებით დავათარილოთ.

კიდევ უფრო დიდი ინტერესი გამოიწვია გვიანარმაზული ხანის (გვიანანტიკური ხანის ბოლო ეტაპის) სამაროვნების აღმოჩენამ ენვალში, ახალ ენვალსა და არაგვისპირში. ამათგან ახალ ენვალსა და არაგვისპირში აღმოჩნდა არმაზის ხევია მდიდრულ სამარხთა ტიპის კომპლექსები, რომლებიც, ზოგიერთ შემთხვევაში ავსებენ და ამდიდრებენ იბერიის ძველი დედაქალაქის წარჩინებულთა სამარხებიდან მომდინარე უმდიდრეს კომპლექსებსაც კი.

ახალი ენვალისა და არაგვისპირის მდიდრული კომპლექსების აღმოჩენამ ჩვენ საშუალება მოგვცა დაგვედგინა არა მარტო არაგვის ხეობის თუ არაგვის საერისთაოს პოლიტიკური ცენტრი, არამედ მთელი ამ მხარის როლი და მნიშვნელობა ქართლის სამეფო ისტორიაში გვიანარმაზული ხანის მიწურულისათვის.

საკმაოდ დიდი მნიშვნელობის აღმოჩენად უნდა ჩაითვალოს ენვალის ძველი სარწყავი არხის ზოგიერთი მონაკვეთის მიგნება არაგვის მარცხენა სანაპიროზე სოფ. ჩინთსა და სოფ. ჭობორტს შორის, აგრეთვე აკმაოდ მოზრდილი ციხე-სიმაგრის აღმოჩენა სოფ. ქვემო ბულაჩაურში, ძველი ნახიდურის (და თანამედროვე ხიდის) სიახლოვეს, და სხვა მრავალი. მაგრამ ენვალის არქეოლოგიური ექსპედიციის ძირითად საზრუნავს მაინც დატბორვის ზონაში მდებარე ძველები და განსაკუთრებით კი ფეოდალური ხანის ნაქალაქარი წარმოადგენს, სადაც 1972 წლიდან წარმოებს ფართო ხასიათის სტაციონალური კვლევა-ძიება.

რუსთველის ეპოქაში ქალაქი ენვალი წარმოადგენდა ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ ცენტრს და მსხვილ სამოსახლოს, რომლის განსაკუთრებული მნიშვნელობა წერილობითი წყაროების ძუნწი ცნობებიდანაც კი კარგად ჩანს.

მთისა და ბარის საზღვარზე, უშუალოდ არაგვის ხეობის ყელში, დიდ სავაჭრო-საქარავნო გზათა გასაყარზე აღმოცენებული ქალაქი შეუძლებელია განსაკუთრებული მნიშვნელობისა არ ყოფილიყო თუნდაც, იმიტომ, რომ იგი უწევდა კონტროლს ჩრდილოეთის დიდ გზებს და საიალად საძოვრებით მდიდარ „შეიღდავე მთეულეს“, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს ბარის მეცხოველეობის განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა.

მართალია ენვალის გაქალაქება, წერილობითი წყაროების ჩვენებით, XII საუკუნის მეორე ნახევარზე მოდის, მაგრამ როგორც არქეოლოგიურმა თხრამ გვიჩვენა, იგი მანამდე უაღრესად მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენდა, კერძოდ ენვალის ერცელი და მრავალსართულიანი სამაროვნის კვლევამ გვიჩვენა, რომ იქ საკმაოდ



ვინჯალის ნაქალაქარი, სახაზლის ტიპის  
შენობის ნაშთები ჭვარი პატროსანის  
ექლესიასთან (ვ. ასტახოვის ფოტო).

Городище Живвали. Остатки сооруже-  
ния дворцового типа около  
церкви Джвари патносани

ვინჯალის ნაქალაქარი, საცხოვრებელი  
კვარტლის ერთი კუთხე შეხუთე ტერა-  
საზე (ვ. ასტახოვის ფოტო).

Городище Живвали. Уголок жиго-  
го помещения (фото В. Астахова).



დიდი სამოსახლო უნდა არსებულიყო ახ. წ. II-VIII საუკუნეებში; ასევე ვრცელი და მნიშვნელოვანი დასახლება უნდა ყოფილიყო თანამედროვე ჟინვალის მიწაწყალზე ადრებრინჯაოს ხანაშიც .

ბუნებრივია ჟინვანის ადგილას არსებულ სამოსახლოს თავისებურებების განგრძობი გზაზე (ადრებრინჯაოდან — გვიანფეოდალურ ხანამდე) ექნებოდა აღმავლობისა და დაცემის არაერთი პერიოდი, ამასთანავე უნდა ვივარაუდოთ ისიც, რომ იმ ფაქტორთა ერთი ნაწილი, რაც ხელს უწყობდა არაგვის „ჭიშკართან“ არსებული სამოსახლოს აღზევებას თუ გაქალაქებას (კერძოდ დიდი გზები, სტრატეგიულად ხელსაყრელი მდებარეობა და სხვა), ხშირად საბაბი ხდებოდა მისი აობრება-განადგურებისა.

წერილობით წყაროებში სოფლად მოხსენებული ჟინვანი აღზევებას იწყებს მაშინვე, როდესაც დავით აღმაშენებლის ენერგიულ ღონისძიებათა წყალობით საქართველო იქცა ძლიერ ფეოდალურ მონარქიად და როდესაც ხანგრძლივი დროით შეიქმნა ქვეყნის წყნარი და სტაბილური განვითარების შესაძლებლობა. ჟინვანის როლი განსაკუთრებით უნდა გაზრდილიყო უკვე დავით აღმაშენებლის ზეობის ხანაში, როდესაც ჩრდილოეთის დიდმა გზამ, დარიალზე რომ გადადიოდა, უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა შეიძინა (იგულისხმება ყივჩაღების საქართველოში ჩამოსახლება და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან ურთიერთობა და სხვა).

XII საუკუნიდან ყველა ის ფაქტორი (საჯაჭრო გზების თავშესაყარი სტრატეგიული ხელსაყრელობა, მდიდარი სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონი, მთის სამოკრების კონტროლი, სარწყავი არხის სათავე და სხვა.), რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყოს ჟინვანის გაქალაქებისათვის, მთელი ძალით და დადებითად ამოქმედდა, რისი წყალობითაც იგი თანდათანობით იქცა მსხვილ და ხალხმრავალ ფეოდალურ ქალაქად.

მიუხედავად იმისა, რომ ჟინვალის ნაქალაქარი ჯერჯერობით სანახევროდაც არ არის გათხრილი, შედეგები მაინც მეტად მნიშვნელოვანი გვაქვს. მოპოვებულია უაღრესად მრავალმხრივი და საყურადღებო მატერიალური მასალა, რომლის წინასწარული ანალიზიც კი საშუალებას გვაძლევს მრავალი საგულისხმო დასკვნა გავაკეთოთ. განსაკუთრებით მთისა და ბარის ურთიერთობის პრობლემასთან დაკავშირებით.

ქალაქ ჟინვანს, როგორც არქეოლოგიური ძიებიდან ჩანს საკმაოდ დიდი ტერიტორია ეკავა მთიულეთისა და ფშავის არაგვთა შესაყარში, მდინარის ორთავე სანაპიროზე. ქალაქის ფარგლებშივეა საგულისხმებელი ამ მდინარეთა „ხერთვისიც“, თუმცა უნდა ითქვას, რომ ძველი ქალაქის ძირითად უბანს წარმოადგენდა მდ. არაგვის მარცხენა სანაპიროზე მდებარე ის ადგილები, რომელსაც ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც „ნაქალაქარს“ უწოდებს. ძირითადი სამოსახლო კვარტალები და ყველაზე მჭიდრო მოსახლეობის კვალი სწორედ „ნაქალაქარზე“ ჩანს.

თამარის (თუ ყელის) ციხის ძირობაზე, მდებარე „ნაქალაქარს“ ჰქონია საკუთარი გალავანი, რომლის სამხრეთი კედელი, კარიბჭითურთ, გამოავლინა ჩვენმა ექსპედიციამ. „ნაქალაქარის“ გალავნის შიდა ფართობი დასახლებული ყოფილა ძალზე მჭიდროდ. ქალაქის გეგმარებისა და ცალკეულ სამოსახლო კვარტალების მშენებლობაში კარგადაა გათვალისწინებული რელიეფის თავისებურება. „ნაქალაქარის“ იმ ძირითადი ნაწილისათვის, რომელიც შეფენილია საკმაოდ დახრილ ფერდობზე, დამახასიათებელია საცხოვრებელთა ტერასული განლაგება, იმ ვარაუდით, რომ ქვედა ტერასის ბანი ყოფილიყო ეზო და კომუნიკაციის საშუალება მომდევნო ტერასისათვის.

ცხენის თიხის ქანდაკება ახალი ენეოლითის  
ნაშთსაზღვარიდან. ელინისტური ხანა  
(ვ. ასტახოვის ფოტო).

Терракотовое изображение жеребёнка  
из эллинистического поселения  
Ахали Жинвали (фото В. Астахова).



იმპორტული ამფორისკი ახალი ენეოლითის  
ნაშთსაზღვარიდან. ელინისტური ხანა  
(ვ. ასტახოვის ფოტო).

Импортные амфориски из элли-  
нистического поселения Ахали  
Жинвали (фото В. Астахова).





ასეთი ტერასა ჯერჯერობით გამოვლენილია შვიდი. ჟინვალის „ნაქალაქარის“ ბანურ-ტერასულ ნაგებობებს ბევრი რამ აქვს საერთო ისტორიული ფხვვის ხალხურ ხერხთ-მოდლებსათან.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება „ნაქალაქარზე“ საყურადღებოა იმითაც, რომ ძე-გლის განსაკუთრებული ვითარების გამო, იქ სწარმოებს ტოტალური თხრა, რისი სა-შუალებაც, სხვა არქეოლოგიურ ძეგლებზე, ყოველთვის არ გაგვანჩნია. გარდა სამო-სახლო კვარტალებისა დიდი მუშაობაა გაჩაღებული „ნაქალაქარის“ სამაროვანზედაც. სადაც არქეოლოგის წერაქვს ათასობით ქვის სამარხი და აკლდამა ელოდება, სამოსახ-ლო კვარტალებისა და მისი სინქრონული და კუთვნილი სამაროვნის შესწავლა თავის-თავად უაღრესად საყურადღებო ფაქტია, რაც ხელს უწყობს ძველი ჟინვალის კომპლექ-სურ კვლევას. ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვანი საგანგებო ყურადღების ღირსია იმის გამოც, რომ ბარისათვის დამახასიათებელ მთელ რიგ ნიშნებთან ერთად (სამარ-ხთა აღნაგობა, დაკრძალვის წესი და სხვა) შეიმჩნევა მთის ტრადიციების გავლენაც, რაც გამოხატულია სამარხული ინვენტარის საგრძნობ სიუხვეში, ამასთანავე საინტე-რესოა, რომ სამარხეულ კომპლექსებში ჭარბობს ქალაქური ხელოსნური ნაწარმი (მი-ნის სამაჯურები, ჩალისფერი სასმისები, მინის ჭურჭელი და სხვ), რაც თავის მხრივ მიუთითებს იმაზე, რომ ჟინვანის მოსახლეობა, რომელიც ჩვენის ვარაუდით, უმთავ-რესად, მთის ჭარბი მასების ხარჯზე იყებოდა და, რომელსაც ქალაქში ჩამოქონდა მთის ყოფასთან დაკავშირებული გარკვეული ტრადიციები, სწრაფად განიცდიდა კულ-ტურულად დაწინაურებული ბარის ზეგავლენას. ამ პროცესს, როგორც ჩანს ხელს უწყობდა არა მარტო ჟინვანში უკვე ტრადიციად ქცეული „ქალაქური ვარემო“, არა-მედ ისიც, რომ ორთავე არაგვის ხეობაში, ერთის მხრივ მენესომდე და მეორეს მხრივ კართანამდე, გაბატონებული ყოფილა ბარის ტიპის მეურნეობა და, უნდა ვიფიქროთ, რომ ცხოვრების ბარული წესიც.

ჟინვალის სასოფლო-სამეურნეო მიკრორაიონის არქეოლოგიურმა შესწავლამ საე-სებით ნათლად დაგვიდასტურა აღნიშნული მოსაზრება და გვიჩვენა, რომ მეურნეო-ბის სხვა დარგებს შორის (მემინდვრეობა, მესაქონლეობა, მებაღეობა), არაგვის ხეო-ბის საკმაოდ დიდ ნაწილში (ჟინვალის ზემოთ) მევენახეობა-მეღვინეობას ეჭირა სა-პატიო, ხოლო ზოგან კი წამყვანი ადგილი. ჟინვალის ჩრდილოეთით გათხრილ ნასო-ფლარებზე, თითქმის ყველა საცხოვრებელი კომპლექსის აუცილებელ ატრიბუტს წარ-მოადგენს კაპიტალურად მოწყობილი მარანი თავისი ქვეითკირის საწნახლებითა და ქვევრებით.

აღსანიშნავია, ისიც, რომ ქალაქური კულტურის რადიაცია ყველაზე უფრო რე-ლიეფურად ეტყობა ჟინვალის სასოფლო-სამეურნეო რაიონის იმ მონაკვეთს (არაგვის ხეობაში), სადაც ბარის ტიპის მეურნეობა იყო გაბატონებული. ბუნებრივია მთის დანარჩენი მოსახლეობის მატერიალური კულტურაც ჟინვალის მეშვეობით გარკვეულ გავლენას განიცდიდა ბარიდან, მით უმეტეს, რომ ჟინვალი რუსთველის ეპოქაში წარ-მოადგენდა მსხვილ სახელოსნო-სავაჭრო ცენტრს, საიდანაც ხდებოდა მთისა და ბარის პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთკავშირის რეგულაცია.

არქეოლოგიური ძიებითვე უკვე საკმაოდ კარგად ჩანს ქალაქ ჟინვანის პოლიტი-კური და ნაწილობრივ სოციალური მხარეც.

ფეოდალური ჟინვანის მთავარ საყრდენს, მის პოლიტიკურ მესვეურს და მთის მიმართ ბარის ყველა შეტყვის თუ მიძალღების ორგანიზატორს წარმოადგენდა „ნაქალა-ქარის“ თავზე წამომდგარი ყელის ციხე, რომელსაც ხალხი თამარის ციხესაც უწოდებს.

მაგრამ თამარის ციხე ღინვანში ერთადერთი არ იყო. ქალაქ ღინვანისა და შესაბამისად იქ გამავალი გზების დაცვას ემსახურებოდა სასიმაგრო ნაგებობათა მთელი სისტემა, კერძოდ თამარის ციხის მოპირდაპირედ კლდოვან მასივზე აღმართული წმ. გიორგის ციხე, რომელიც გაითხარა და საქართველოს სამხედრო გზის უკადადგომლობის შემდეგ შეიძლება იქცეს ტურისტული დათვალიერების საყურადღებო ობიექტად. ამ ორი ციხის შემაერთებულ რგოლს წარმოადგენდა ღინვალის ციხე-გალავანი, თანამედროვე სოფლის ჩრდილოეთ განაპირას, უზარმაზარი ზურგიანი კოშკით, რომელიც დატბორვის შემდეგ წყალსაცავის ფსკერზე დარჩება.

გარდა ამ სასიმაგრო სისტემისა ქალაქს სამხრეთიდან (მდინარის მარცხენა სანაპიროზე) იცავდა მღვიმეს მთიდან არაგვისაკენ დაშვებული საკმაოდ მძლავრი კედელი, კარიბჭითურთ.

ამჟამად აღნიშნული კედელი აღარ არსებობს. იგი დაინგრა ღინვალის ქვის საგენერატორო დარბაზში ჩასასვლელი ვერტიკალური ჭის მშენებლობის დროს. ასეთივე კედელი უნდა არსებულებოდა არაგვის მარჯვენა ნაპირზეც, მაგრამ როგორც ჩანს, მთლიანად დაინგრა სამხედრო გზის გაყვანის დროს. რაც შეეხება არაგვის მარცხენა ნაპირზე შემორჩენილ კედელს, კარიბჭითურთ, მისი აღმოჩენა იმითავე არის საყურადღებო, რომ სავსებით დადასტურდა აკად. ნ. ბურძენიშვილის მოსაზრება იმის შესახებ, რომ ჩრდილოეთის გზის მთავარი მაგისტრალი არაგვის მარცხენა სანაპიროთი შედიოდა ღინვალში (ტოპორტ—ბულაჩაურ—ჩინთის გავლით).

არქეოლოგიური თხრის შედეგად წარმოებულმა დაკვირვებამ და მოპოვებული მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ სოციალურად დაწინაურებულ ფენას უნდა ეცხოვრა ღინვანის ციხეში, განსაკუთრებით ზურგიან კოშკში. აგრეთვე იმავე სოციალური ფენის საკუთრება უნდა იყოს დულაბზე ნაგები დიდრონი შენობების ნაწილი „ნაქალაქარზე“ არაგვის გასწვრივ და ჯვარპატიოსნის ეკლესიასთან მდებარე დიდი შენობა.

ვაჭარ-ხელოსანთა უბანი, როგორც გაირკვა, მდებარეობდა ხევსურეთის გზასა და არაგვის შორის. თიხის გამოსაწვავი ქურა, რკინის წიღების, თიხის მცირე ტიგელების და სხვათა სიმრავლე მიუთითებს ღინვანში მრავალდარგოვანი ხელოსნობის არსებობაზე. სოციალური მომენტი კარგად არის ასახული სამაროვანზედაც, სადაც თითქოს მოხერხდა სამაროვანის „არისტოკრატიული“ კუთხის გამოყოფა. რიგით სამარხებს შორის გაბნეული უზარმაზარი მიწისქვეშა აკლდამები კი შესაძლოა ქალაქის ქონებრივად დაწინაურებული — ფენის (ვაჭრების და ხელოსნების) საკუთრება იყოს.

არქეოლოგიური კვლევა-ძიება ნაქალაქარის ტერიტორიაზე კვლავაც გრძელდება და მრავალი ახალი ობიექტი ულის გამოშვეურებას. მართალია ღინვალის ექსპედიცია აკეთებს განათხარი ძეგლების დოკუმენტაციას (კინო-ფოტოფიქსაცია, ანაზომები, ჩანახატები, ტოპონიმები და სხვა), მაგრამ მაინც ძნელად შესაგუებელია ის აზრი, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ეს უზარმაზარი ნაქალაქარი თავის საცხოვრებელი კვარტალებით, სამაროვნებითა და სხვა ნაგებობებით წყლის ქვეშ მოექცევა. მიუხედავად დიდი მონდომებისა და თითქმის მთელი წლის განმავლობაში ველზე ყოფნისა, ღინვალის ექსპედიციის კოლექტივი ალბათ ვერ შეძლებს ყველაფერი ბოლომდე გათხაროს, თუნდაც ის, რაც უკვე აღმოჩენილია, მითუმეტეს, რომ გასათხრელი ფართობის განთავისუფლება კერძო ოჯახებისა თუ დაწესებულებების მიერ დადგენილი გრაფიკის მიხედვით არ სრულდება. ამ მხრივ განსაკუთრებით ხელს გვიშლის ცხოველმზადების პუნქტი „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე, რომელიც ფარავს უაღრესად საყურადღებო საცხოვრებელ კვარტალს.

წყლის დატბორვის შემდეგ რაც ნავარაუდებია X ხუთწლედის ბოლოსათვის. ძველი ეინვალისაგან მხოლოდ ორი ძეგლი: თამარისა და წმ. გიორგის ციხეები გადარჩება, დანარჩენი (ორი ზურგიანი კოშკი, 8 ეკლესია, საცხოვრებელი კვანძები, სამი სამაროვანი, საქარაწო სახლის ნაშთები, კარიბჭეები და გალანის ნაშთები და სხვა) ან უკვე ინგრევა ან კიდევ გათხრის შემდეგ მთლიანად დაიფარება წყლით.

ჩვენმა ექსპედიციამ ჯერ კიდევ 1973-74 წლებში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული მეთოდური საბჭოს და კულტურის სამინისტროს წინაშე დასვა საკითხი ზოგიერთი ძეგლის მომავალი წყალსაცავის ზონიდან გამოტანის შესახებ. ამის შედეგია რომ უკვე არსებობს აკადემიის მეთოდ საბჭოს დადგენილება ხერთვისის ზურგიანი კოშკის და იქ არსებული კომპლექსის ევაკუაციის თაობაზე, მაგრამ პრაქტიკული ნაბიჯი ძეგლის გადასატანად ან ტექნიკური დოკუმენტაციის შესადგენად მაინც, ჯერ-ჯერობით, არ გადადგმულა.

ეინვალის ძველი ნაქალაქარის ზოგიერთი, შედარებით უფრო მცირე გაბარიტების მქონე ძეგლების ევაკუაციის გზით გადარჩენის საკითხი დღესაც დგას ჩვენს წინაშე და სასურველია ამ საქმეში მეტი ქმედითი ღონისძიების განხორციელება. ამ მხრივ ბევრი სასარგებლო საქმის გაკეთება ძალუძს კულტურის სამინისტროს, რომელიც რაც შეიძლება დროზე და ოპერატიულად უნდა გამოეხმაროს ამ საშვილიშვილო საქმეს და უზრუნველყოს თითო-ორი ძეგლის გადარჩენა მაინც. მითუმეტეს, რომ ეინვალის არქეოლოგიურ ექსპედიციის დუშეთის არქეოლოგიურ ბაზას აქვს სათანადო ეზო, წყალსაცავის ზონიდან გამოტანილი ძეგლების მოსათავსებლად.

---



ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინ-სტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიცია 1971 წლიდან თბილისის ჟინვალის „ნაქალაქარის“ სამაროვანს.<sup>1</sup>

შესწავლილია 500-ზე მეტი სამარხი, რომელთა შორის გვხვდება ორმოსამარხები, ქვისსამარხები, ამოშენებულკედლიანი სამარხები და აკლდამები. მათში აღმოჩენილი მეტად მრავალფეროვანი ნივთიერი მასალით სამაროვანი, ზოგადად, XI-XIV საუკუნეებს განეკუთვნება.

ყურადღებას იპყრობენ საგვარეულო თუ საოჯახო აკლდამები, რომლებიც წარმოადგენენ დიდი მოცულობის მიწისქვეშა ნაგებობებს და გამოირჩევიან მრავალსახეობით.

ერთ-ერთი ასეთი აკლდამა გაითხარა 1973 წელს<sup>2</sup>. იგი მდებარეობდა სამაროვნის ჩრდილოეთ მონაკვეთში, მდ. ფშავის არაგვის მარცხენა ნაპირას. აკლდამის ჩრდილო-აღმოსავლეთი კუთხე, რომელიც ჩანდა გათხრამდე, აუფეთქებიათ ხევსურეთის გზის მშენებლებს ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში. უცნობ პირებს, ადგილობრივი მოსახლეობის გადმოცემით, აკლდამიდან გაუტანიათ ნივთები, რომლებიც სხვადასხვა ტურტლებსა და სამკაულების სახით ყოფილა წარმოდგენილი.

გ. ნიორაძის სტატიას „მიცვალებულის ქაერზე დამარხვა“ თან ახლავს სურათი წარწერით „მიცვალებულთა სახლი“ სოფ. ჟინვალში“<sup>3</sup>. ტექსტში განმარტებულია, რომ ნაგებობა „...აღმოჩენილია სოფ. ჟინვალში, ფშავის არაგვის ნაპირზე“. ვფიქრობთ, რომ სურათზე აღბეჭდილია ის კამაროვანი აკლდამა, რომელიც ჩვენ შევისწავლეთ.

მიუხედავად იმისა, რომ აკლდამა გაძარცვული იყო, ექსპედიციის მიერ 1973 წელს ჩატარებულმა გათხრებმა მოგვეცა მეტად საყურადღებო მასალები. აკლდამის დასაქრძალავ კამერაში, რომელიც ქვა-ლორლით და მიწით იყო ავსებული აღმოჩნდა 60-მდე არეული ჩონჩხი.

სამარხეული მასალა წარმოდგენილი იყო: მინის სამაჯურებით, ტურტლის ყურით და მიწებით; რკინის სამაჯურებით და რგოლებით; ბრინჯაოს სამაჯურებით, რგოლით, ლილით, საყურით და ხეებით; ვერცხლის ბეჭდით; ძვლის კვირისტავით. ნაპოვნია ვერცხლის მონეტების მეტად საყურადღებო კოლექცია<sup>4</sup>. მათ შორისაა ექვსი — რუსუდან დედოფლის სახელით მოჭრილი 1230 წელს (ერთი ნახევარდრამა), ოთხი — ქართულ-პულაგუიდურია მოჭრილი საქართველოში XIII საუკუნის 80-იან წლებში, ერთი — რუმის სელჯუკისა (მცირე აზია) XIII საუკუნის. რუსუდან დედოფლის სახელით მოჭრილი ექვსი მონეტა აღმოჩნდა დასაქრძალავი კამერის ქვედა ფენებში. კამერის ზედა ფენაში ნაპოვნია საბჭოური 15 კაპიკიანი მოჭრილი 30-იან წლებში, რომელიც ალბათ ეკუთვნოდა აკლდამის მძარცველებს.

აკლდამა მართკუთხა მოყვანილობისაა და აგებულია კლდოვან მასივში. ექვსი საფეხურიანი ჩასასვლელი მოწყობილი ჰქონდა დასავლეთ მხრიდან, სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ახლოს. ჩასასვლელის ზედაპირი ოთხკუთხა მოყვანილობისა იყო და იხურებოდა კლდოვან ფილებით, რომლებიც ადგილზე არ დაგვხვდა. კამერაში შესასვლელი ამოშენებული იყო მშრალად დაწყობილი ფლეთილი ქვის ერთპირი



აქლდამის გადახურვის ხედი აღმოსავლეთიდან (ვ. ასტახოვის ფოტო).

Вид на перекрытие склепа с востока (фото В. Астахова).


საფეხურიანი ჩახახვლელი აქლდამის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან (ვ. ასტახოვის ფოტო).

Стуленчатый спуск у юго-западного угла склепа (фото В. Астахова).



აქლდამის გეგმა (მ. ვაჩნაძის ანაზომი).

План склепа (обмер М. Вацнадзе).




აქლდამის განივი კრილი (მ. ვაჩნაძის ანაზომი).

Поперечный разрез склепа (обмер М. Вацнадзе).



ინვენტარის ნაწილი აქლდამიდან (ნ. ბაკაშვილის ნახატი).

Часть инвентаря из склепа (рисунок Н. Бакашвили).



წყობით, ალბათ უკანასკნელი მიცვალებულის ჩასვენების შემდეგ. აკლდამის მაგნიტ, ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი კედლების გასწვრივ მოწყობილი იყო ქვის ტახტი, რომლის შუაში მართკუთხი დასაკრძალავი კამერაა. სამხრეთ კედელში დატანებულია სამი პატარა ნიში. აკლდამა გადახურულია შეისრული კამარით, რომელიც ამოყვანილია ქარგილის მეშვეობით და შიგნიდან და გარედან შელესილია კირხსნარით. კედლების წყობაში და კამარაში გამოყენებულია დაკუთხული და ბრტყელი მოყვანილობის საშუალო ზომის კლდის ქვები, რომლებიც კირხსნართაა დაკავშირებული. წყობაში ალაგ-ალაგ გვხვდება რიყის ქვები. ჩრდილოეთ კედელზე გარედან ნაწილობრივ იყო მიდგმული ერთი მეტრის სიგანის კედელი, რომელიც ალბათ, კონტრაფორსის დანიშნულებას ასრულებდა.

აკლდამის შიდა სიგრძე — 6 მ, სიგანე — 4 მ. დასაკრძალავი კამერის სიგრძე — 5,16 მ., სიგანე — 2,45 მ, სიღრმე — 0,90 მ. აკლდამის სიმაღლე კამარიდან კამერის ძირამდე — 3,20 მ. სამხრეთი ტახტის სიგანე — 0,82 მ, ჩრდილოეთი — 0,73 მ, დასავლეთი — 0,84 მ. ნიშების სიგანე — 0,15 მ. — 0,30 მ. შემოსასვლელის სიმაღლე — 1,20 მ, სიგანე — 0,75 მ. კვადრატული ჩასასვლელის ერთი გვერდის სიგრძე — 1 მ. საფუძვრების სიგანე — 0,20 მ.

აკლდამაში აღმოჩენილი ინვენტარის და განსაკუთრებით მონეტების მიხედვით მისი აგების თარიღად შეიძლება ვივარაუდოთ XIII საუკუნის პირველი ნახევარი.

აღნიშნული აკლდამა აგებულია „ნაქალაქარის“ სამაროვანზე მრგვალი გალავნით საგანგებოდ გამოყოფილ ადგილას და დანარჩენ სამარხებისგან გამოირჩევა თავისი მოცულობით. ის მეტად საყურადღებო მიწისქვეშა ხუროთმოძღვრული ნაგებობაა. არაა გამორიცხული, რომ აკლდამა წარმოადგენდა ციხე-ქალაქ ქინჯანის მფლობელის საოჯახო განსასვენებელს.

სულ მალე ძველი ქინჯალის ტერიტორია დაიფარება წყლით. ზოგიერთი ახლად გამოვლენილი ძველი სასურველია გადმოტანილი იქნას წყალსაცავის ზონიდან. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლები უნდა დაგროვდეს ქართული ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის ტერიტორიაზე. ნაწილი კი შეიძლება ევაკუირებული იქნეს დუშეთში არქეოლოგიური ბაზის ეზოში.

ერთ-ერთი ასეთი ძეგლთაგანია ქინჯალის კამაროვანი აკლდამა, რომელიც ჯერჯერობით ერთადერთია საქართველოში გათხრილ ამ ტიპის და ამ პერიოდის ძეგლებს შორის.


1 ბ. ჭორბენაძე, ჯ. წიკლაური. „ნაქალაქარის“ სამაროვნის თხრის პირველი შედეგები. — წიგნში: ქინჯალის ექსპედიცია (პირველი სამეცნიერო სესიის მოკლე ანგარიშები). თბ., 1975, გვ. 28-33.

P. Рамшвили, В. Джорбенадзе. Археологические исследования в зоне строительства Живильского гидротехнического комплекса. — В кн.: Археологические исследования на Новостройках Грузинской ССР. Тб., 1976, с. 39-40, рис. 3. აგრეთვე: 1) ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ყოველწლიური კრებული „საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1971-75 წლებში“ ქართულ და რუსულ ენებზე; 2) сборники Института археологии АН СССР «Археологические открытия 1971-77 годов».

2 რ. რამიშვილი, ბ. ჭორბენაძე, ლ. წითლანაძე, ზ. წერეთელი, ზ. კალანაძე, ვ. რიხელიშვილი, მ. მარგველაშვილი, გ. ჩხალაძე, ი. წიკლაური, ვ. ასლანიშვილი, ი. ბაქრაძე, ვ. ლამბაშიძე. ქინჯალის ექსპედიცია. — წიგნში: საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1973 წელს (მოკლე ანგარიშები). თბ., 1974, გვ. 68; ტაბ. XV.

3 ვ. ნიორაძე. მიცვალებულის ჰერზე დამარხვა. — ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე. თბ., 1940, ტ. 5-6, გვ. 64-65; სურ. 7.

4 მონეტები განისაზღვრა უფროს მეცნიერ თანამშრომელმა ი. ჭალანაძემ.



**უზღუდო ქალაქის გეგმარება და მშენებლობის წესი**  
**ადრეფოდალური ხანის ჯავახეთის ახალქალაქში**

არცთუ დიდი ხანია, რაც ჯავახეთ-ახალქალაქის მხარეში დაიწყო უძველეს ისტორიულ ძეგლთა არქეოლოგიური შესწავლა (1960-1974 წწ).<sup>1</sup>

ჯავახეთის ფეოდალური ხანის ცენტრის — ახალქალაქის ძველი ციხის ნაშთების კვლევა თუმცა ოთხ მოკლევადიან კამპანიას მოიცავს, მაგრამ ამ ხნის განმავლობაშიც მნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღებული. საცხოვრებელ-სამეურნეო და თავდაცვით ნაგებობებში გაირკვა ადრე, შუა და გვიანფეოდალური ხანის ქალაქის გეგმარებისა და მშენებლობის წესი, რომელსაც აგრეთვე თავ-თავისი დროის ნივთიერი მონაპოვარიც შეესაბამება.<sup>2</sup> განათხარის ნაშთების სტრატოგრაფიული ანალიზის საფუძველზე დადგინდა ძეგლის 5 უმთავრესი ქრონოლოგიური პერიოდი, გამოიყო რამდენიმე ქვეეტაპი: I. ენეოლით — ადრებრინჯაოს ხანის, II. ადრეფეოდალური ხანის მიწურულის (IX-X სს), III. შუაფეოდალური ხანის (XI-XIII სს) — ორ სამშენებლო ეტაპად: XI-XII და XIII სს, IV. გვიანფეოდალური ხანის (XVI-XVIII სს) და V. XIX ს. I ნახ. — კუთვნილი ნაშთები.<sup>3</sup>

ამათგან ყურადღებას შევაჩერებთ ადრეფეოდალური ხანის მიწურულში — „წინაქალაქობის“ ეტაპზე (IX-X სს) ახალქალაქის ზეგან-კონცხზე წარმოსობილ ვრცელ, მაგრამ უზღუდო სამოსახლოს ნაშთებზე.

IX-X სს საქართველოს საქალაქო ცხოვრების ისტორიაში ახალი ეტაპი იწყება. არაბთა განდევნის შემდეგ, ქვეყანა ნივთიერად მომძლავრდა, აღდგა სამოქალაქო და კულტურული ცხოვრება. მნიშვნელოვანმა ძვრებმა ქვეყნის ეკონომიურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში საფუძველი შეუქმნა ახალი ქალაქების წარმოქმნას და ძველთა აღორძინებას.<sup>4</sup> ამხანად, საქართველოს ეკონომიურად დაწინაურებულ კუთხეებში ყალიბდება ახალი ფეოდალური სამთავროები, რომელთა შორის ურთიერთობაში ჯავახეთიც გაცხოველებით ებმება: აქ, მნიშვნელოვან სავაჭრო-საქარავნო გზაჯვარედინზე, მერმინდელი ახალქალაქის ადგილზე, თანდათან წარმოიქმნა ვრცელი სამოსახლო.

ახალქალაქის ძველი სამოსახლოს მკვიდრთ უმოკლესი გზების გადავლით ურთიერთობა ქქონდათ როგორც ქვეყნის შიგნით სხვადასხვა სამეფო-სამთავროებთან, ისე მის გარეთ, მეზობელ ქვეყნებთან: სომხეთთან, ბიზანტიასთან. არქეოლოგიურმა კვლევამ ცხადყო ეს მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი: ბიზანტიასთან სავაჭრო ურთიერთობის მოწმობად ჩაითვლება ძველ სამოსახლოს ნაშთებში მოძიებული სპილენძის მონეტები (მოჭრილი X ს-ში იოანე ციმისხის დროს).

თუმცა საისტორიო წყარო ახალქალაქს XI ს. 40-იან წლებამდე არ იხსენიებს, მაგრამ უფრო ადრე, IX-X სს, აქ, ორი მდინარის შესართავში ბუნებრივად აზიდულ ზეგან-კონცხზე განლაგებულ ძველ სამოსახლოს არსებობის დამადასტურებელ საბუთს მხოლოდ არქეოლოგიური კვლევა გვაძლევს — თხრით გამოვლენილ ნაგებობათა ნაშთების სახით.

„მატიანე ქართლისაჲ“-ს ცნობა იმის შესახებ, რომ 1044-1045 წწ „იწყეს ახალქალაქისა ზღუდეთა შენებად, რამეთუ მას ეამსა უზღუდო იყო“,<sup>5</sup> — ძველი სამოსახლოს მნიშვნელობის ზრდას უნდა მიუწეროს; მისთვის ზღუდის შემოვლება კი — გაქალაქებას, ციხე-ქალაქად გადაქცევის დასტურად უნდა ჩაითვალოს, რადგან ზღუდის



შენიშვნება XI-XII სს. ქალაქისათვის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად ითვლება. იგივე წყარო გვაუწყებს ალ-ფარსლანის ლაშქრობის დროს ქალაქის დაცემის მიხედვით: „არა ზღუდითა მტკიცითა განსრულებულ იყო ახალქალაქი“.<sup>6</sup> სარწმუნო ჩანს თ. გამსახურდიას ვარაუდი, რომ თუკი ზღუდის აგებას ათეული წლები არ მოეწონებოდა, ცხადია, ქალაქის ამშენებას უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა.<sup>7</sup> ლ. ჭილაშვილის დაკვირვებით, ქალაქის მშენებლობის პირველ ეტაპზე მოსახლეობის დაცვა ციხეს უნდა ჰქონოდა მინდობილი. მაგრამ როცა ეს ნაგებობა საკმარისი არ აღმოჩნდა დაცვისათვის, მასინ იწყებს ქალაქის ზღუდით შემოფარგვლას; მისივე აზრით, ახალქალაქის შემოზღუდვა გაქალაქების დასახრულს მოასწავებდა, რადგან უზღუდო ქალაქების არსებობა საქართველოში არ მტკიცდება.<sup>8</sup>

მაგრამ ირკვევა, რომ საქართველოში არსებული უზღუდო პატარა ქალაქებიც აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, „ქვეყნის ძლიერი ეკონომიური წინაგლის შედეგად ამ ეპოქაში ჩნდება და იზრდება ქალაქები უცხოვრად, უზღუდოდ“; ახალქალაქი „უზღუდო იყო და ეს სახელი კი ერქვა“.<sup>9</sup>

ახალქალაქის არქეოლოგიურმა შესწავლამ იმ აზრამდე მიგვიყვანა, რომ მის თავდაპირველ მცირერიცხოვან მოსახლეობას ეგებ მართო ციხეც ჰყოფნოდა დასაცავად. საინისოდ, ვფიქრობთ, ანგარიშგასაწევია ერთი არქეოლოგიური ფაქტიც: სამხრეთით, ციტადელის მთავარი ჭიშკრის ქვეშ გათხრისას გამოჩნდა დაფარული კედლის ნაწყვეტი, მასში ჩართული ბურჯით. ეს უკანასკნელი ნაგებია „ფსევდოციკლოპურად“ — შერეულად, პორიზონტალურის-ვერტიკალურთან მიმართებაში მყოფი დიდრონი, უხეშად თლილი ბლოკების წყობით, რომელთა შორის ღრეწოები წვრილი ნატეხი ქვითაა შეესებული. სწორედ მის თავზე გადადის XI-XII სს. გაჭრილი ციხის მთავარი კარის ზღურბლი. ქვედა ფენაში გამოვლენილი ძველი ბურჯის ნაშთი არც მდებარეობით და არც გვემით არ შეეფარდება მიწის ზედაპირზე განლაგებულ კოშკებისა და ბურჯების მთავარ ძარღვს. ამ უკანასკნელთა აგებულებაში კი, მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი გადაკეთება-შეკეთებისა (XVI-XIX სს), მაინც დარჩა XI ს. დაგეგმარებული ციტადელის გვემიერი მონახაზი: თითქმის ყველა კოშკის ძირში ვხედავთ ბაგრატ IV-ეული (1027-1072 წწ.) მშენებლობის კვალს; იმდროინდელი კოშკები თუმცა ისევ „ფსევდოციკლოპური“ წესით არის ნაგები, მაგრამ უკვე პორიზონტალურ (—და არა შერეულ!) რიგებად წყობილი დიდი ბლოკებით.

სარწმუნო უნდა იყოს არქიტექტორ ი. ციციშვილის მოსაზრება, რომ ყველა დროის მშენებლობას თავ-თავისი, ეპოქათა შესაბამისი სამშენებლო პრინციპებიდან გამომდინარე კონსტრუქციული მხარეები ჰქონდა: კედლის აგების ხერხები და ქვის წყობის მახასიათებელი ნიშნები, რაც ფაქტიურად განსაზღვრავდა ნაგებობათა გვეგმარებასა და ხასიათს.<sup>10</sup> თუ ყოველივე ამას სტრატეგრაფიული დამოწმებაც თან ახლავს, ვფიქრობთ, ნაშთების შესაბამისად დათარიღებაც სარწმუნო უნდა ხდებოდეს.

სწორედ ამ თვისებათა გათვალისწინების გამო ვფიქრობთ, რომ ზღურბლის ქვეშა კედლის ნაწყვეტი თავისი პატარა ბურჯით და მასზე მდგარი XI ს. ციტადელი არ შეიძლება ერთდროული გვეგმარების ან მშენებლობის პროდუქტი იყოს; ზღურბლის ქვეშა ბურჯის ნაშთი უშლის ზედა თავდაცვით სისტემას: XI ს. ციხე-ქალაქის მშენებელნი ასე ახლოს და მიზანშეუწონლად არ განლაგებდნენ ერთმანეთთან საბრძოლო-თავდაცვით ელემენტებს.

ამიტომ ვფიქრობთ, რომ დაფარული, ძველი ბურჯის ნაშთი ეგებ იმ თავდაპირვე-

ლი, მაგრამ დაუმთავრებელი ან გვეგამამოცვლილი სიმაგრის კუთვნილი იყოს, რომელსაც ახალქალაქის ადრინდელი მცირერიცხოვანი მოსახლეობის დაცვა უნდა დაეკისრებოდა.

არქივული

1008 წლიდან ბაგრატ III (980-1014) მიერ ჯავახეთის პოლიტიკურ მოქმედებების ფაქტი და იმ დროის სოციალ-ეკონომიური ცხოვრების დონე განმსაზღვრელი უნდა ყოფილიყო შემდგომში ქალაქური ტიპის დიდი სამოსახლოს — უკვე ციხე-ქალაქად გადაქცევისათვის. სწორედ ამ „წინაქალაქობის“ ხანას (IX-XI სს 10-იან წლებამდე) მიეკუთვნებოდა ჩვენ ზოგ იმ ძველ ნაშთს, რომელიც უკვე შუაფეოდალური ხანის (XI-XIII სს) ახალქალაქის უბნებში თხრით იქნა გამოჩენილი.

ვეფიქრობთ მშენებლობის წესით და მონაპოვარი კერამიკული მასალის განფენების მიხედვით გამოჩენილი ეს ნაშთები სწორედ იმ ძველი სამოსახლოს კუთვნილია, რომელიც წინ უსწრებდა XI ს. 40-იან წლებში აღზევებულ ანუ ზღუდეგალავნით გარშემორტყმულ ახალ-ფეოდალური ქალაქის წარმოქმნას.

მაგრამ, ალბათ ბუნებრივი იქნება იმის წარმოდგენაც, თუ რაოდენ წაშლილია აქ, ციტადელის უკან 9-10 კმ-ზე გაშენებულ XI-XIII სს. ქალაქის ნანგრევთა შორის, აქა-იქ შერჩენილი პირველადი სამოსახლოების კვალი; ისე, რომ მათი დასახლების ტიპური გეგმარების დადგენა ამჟამად ძალზე ჭირს. ამიტომ არის, რომ XI-XIII სს. „ბანური სახლის“ ტიპის კომპლექსთა შორის სტრატეგრაფიითა და სამშენებლო ტექნიკით გამოჩენილი რამდენიმე ძველი კედლის ნაშთის მიხედვით ვცდილობთ აღვადგინოთ „წინაქალაქობის“ ხანის — IX-X სს. დასახლების სურათი.

I — ნასახლარი (ეკლესიის უბანში) სამსენაკიანია. ფართობი-265 მ<sup>2</sup>. № 2 სენაკში შენიშნული პირველადი IX-X სს. ნაგებობის ნაშთი უშუალოდ ჩართულია XI-XIII სს. საცხოვრებელ და სამეურნეო დანიშნულების კომპლექსში. აქ S და W კედლთა პირები ნაგებია „ფხვედოციკლოპური“ — შერეული წყობით. ამით აშკარად განსხვავდება ეს კედლები იმავე სენაკის დანარჩენი წყობისაგან, რომელთაგან ჭარბობს მომცრო თლილი ქვის მეტწილად ჰორიზონტალური მიმართება (XI-XIII სს). როგორც ირკვევა, აქ ძველი წყობის ნაშთები უკვე ხელახალ გამოყენებას პოულობს შუაფეოდალურ ხანაში დაგეგმარებულ სამსენაკიან „ბანურ სახლში“.

№ 2 სენაკის შესქელებულ კუთხეებში კი, როგორც პოსტამენტებში, ჩადგმული აღმოჩნდა ბაზალტის ქვის სტელა, რომელზედაც დაბალი რელიეფით ნაკვეთია ღერძ-დაგრძელებული ჯვარი. ასეთივე სტელა საპირისპირო კუთხეშიც უნდა მდგარიყო. ამ დეტალის სტილისტური ანალიზი მის ადრეულ წარმოშობაზე მეტყველებს: დაახლ. VII ს. იწყება ჯვრის ღერძის დაგრძელება. სტელის ჩადგმა საგანგებო პოსტამენტებში კი — ამ სენაკის კედლთა წყობის ხასიათთან ერთად, შესაძლოა განსაკუთრებული დანიშნულებითაც აიხსნას: ვეებ ამ სენაკსაც, IX-X სს. აგებულ ჯვრის ტიპის ეკლესიასთან ერთად. საკულტო დანიშნულება კქონდა — როგორც „სახლობის მფარველის“ ანუ შინაპაპლოცველოს როლის შემსრულებელი.

II — ნასახლარი მდებარეობით აგრეთვე ეკლესიის უბანს უკავშირდება და ორ-სენაკიანია. აქედან № 1 სენაკის S კედლის პირი ასევე „ფხვედოციკლოპურად“ — ქვის წყობის შერეული წესით არის ამოყვანილი (IX-X სს). იგი ხელახლა ჩართული ჩანს შუაფეოდალური ხანის ნასახლარში და გარეგნულადაც განსხვავდება XI-XIII სს. მოქმედი ქალაქის მთავარი სამოსახლოსაგან.

III — ნასახლარი (ჩრდ. დას. ჭიშკრის უბანში) ოთხსენაკიანია. ფართობი-366 მ<sup>2</sup>. იგი ეკვრის შუაფეოდალური ხანის ქალაქის უბნებში ჩრდ. დას-დან შეიქმნა-



ახალქალაქის ციხადელი ნაგები XI ს. გადაკეთებული XVI და XIX სს. S ფა სადი.

ვლელ ჭიშკარს, რომელიც თავის მხრივ XI ს. 40-იან წწ. ზღუდე-გალავანშია ჩართული და რომელსაც ეკუთვნის ქვა ასომთავრული წარწერით: „ქრისტე შეიწყალე მარიამ“ (მაგრატი IV დედა). ეს ნასახლარი რამდენადმე განსხვავდება ადრეფეოდალური ხანის ეკლესიის უბანში გათხრილ სხვა ნასახლართაგან (I, IV), რადგან მასში სხვადასხვა ტექნიკით ნაგებ კედლებს — დონეთა სხვადასხვაობაც შეეფარდა; ხოლო ამას, თავის მხრივ, მიესადაგა სხვადასხვა დროის ნივთიერი მასალაც. ასე დადასტურდა აქ 4 სამშენებლო ეტაპი: 1) უძველესი, ენეოლით — ადრებრინჯაოს ხანის ნაშთები, 2) ადრეფეოდალური ხანის მიწურულის (IX-X სს), 3) შუაფეოდალური ხანის (XI-XIII სს.) და 4) გვიანფეოდალური ხანის (XVII-XVIII სს.) შესაბამისი დონეები. ამათგან გამოიყო ფსევდოციკლოპური წესით IX-X სს. ნაგები კედლები — უმეტესად შუაფეოდალური ხანის კედელთა ძირებში. შერეული წყობით ნაგებია № 1 და 2 სენაკების გამყოფი და № 2 სენაკის აღმ. კედლის ქვედა ზოლი. მასვე შეესაბამება კლდოვან ქანზე მოგებულ-შესწორებული თიხატყეპნილი იატაკის ნაშთი, რომელზედაც მოძიებულ იქნა IX-X სს მოუჭიქავი, მაგრამ ნაწილობრივ შეღებილ-გაპრიალებული ჭურჭელი. ეს უკანასკნელი ამ დროის ჯავახეთში გავრცელებული ნაწარმის ტიპოლოგიურ ნიმუშებს და ტექნოლოგიურ ხერხებს სავესებით შე-



Цитадель Ахалкалаки—постройки XI в., переделанная в XVI и XIX вв. S фасад.

ესაბამება და ასეთი ნაწარმის ლოკალურ რაიონში გავრცელებაზე შეტყვევებს. მოქი-  
ქული ჭურჭელი ამ დროს ნაკლებად კეთდება, მაგრამ ისიც დამახასიათებელია ამ კუთ-  
ხისათვის: კეცზე ფუნჯით მოხატული ანგობის მარყუევები დაფარულია ლეიძლისფერი  
ტიქურით.

IV — ნასახლარი (ეკლესიის უბანში) ორსენაკიანია. ფართობი-240 მ<sup>2</sup>. იგი მოქ-  
ცეულია I და II ნასახლარებს შორის. როგორც ჩანს, ყველა ნასახლარი შუაფეოდალურ  
რი ხანის საქალაქო უბნების ერთ მთლიან ჯაჭვს ქმნის, რადგან მჭიდროდ განლაგებულ-  
ნი არიან მათივე კუთვნილ სამლოცველოს ირგვლივ. № 2 სენაკის აგებულება გვი-  
ჩვენებს, რომ მხოლოდ N და S კედლების ძირებია ნაგები „ფსევდოციკლოპურად“,  
შერეულად IX-X სს. ხოლო შუაფეოდალურ ხანაში აქვე აგებული სხვა კედლები ქვის  
წყობის უკვე განსხვავებული მიმართების მქონენი არიან, გამართულნი ძველთა ბაზაზე.  
ამ ნასახლარის ორივე სენაკი შეესაბამება XI-XII სს. დაგვემარებულ დიდი ქალაქის  
საცხოვრებელ უბანს და ამდენად, ცხადია, უმრავლესი ხასიათის მშენებლობამ (— ქო-



ჩვენთვის ახაქუჯაძე, ციხე-ნაქაძე-ის ტომოვება.  
 გზომილია არქ. კ. მელითაურის მიერ.

Ахалкалаки Джанахетский. То видлан города-крепости.  
 Обмеры арх. К. Н. Мелитаური



ახალქალაქი, ნაქალაქარო, ეკლესიის უბანი. სამსენაჯიანი ნასახლარი — I (IX-X და XI-XIII სს.).

ახალქალაქი. I — ნასახლარის № 2 სენაჯი. ქვრის გამოსახულებიანი ქვის სტელის პოსტამენტი SO კუთხეში — IX-XI სს. ხედი NO.

Ахалкалаки. Городище. Трехкомнатное сооружение — I в р-не церкви IX—X и XI—XIII вв.

Ахалкалаки. SO постамент для вставки крестовой стелы в комнате № 2 (сооружения — I) — IX—XI вв. Вид NO.





ახალქალაქი. ნაქალაქარი. ჭვრის ეკლესიის სვეტის ბაზა. სამურაფოთლოვანი ორნამენტით — VI-VII სს., გამოყენებული IX-X სს. აგებულ და—XII ს. აღდგენილ ეკლესიაში.

ახალქალაქი. ნაქალაქარი. ეკლესიის უბანი. ნასახლარი II. SW კედლის „ფსევდოციკლოპური“ — შერეული წვობა — IX-X სს. ხედი NO.

Ахалкалаки. Городице. Колонная база с орнаментом трилистника — VI—VII вв., использованная в возращденной в IX—XII вв. церкви.

Псевдоциклопическая — смешанная кладка SW стены — IX—X вв. сооружения — II в р-не церкви.



რიზონტალურად წყობილმა ქვით ნაგებმა კედლებმა) განსაზღვრა აქ შუაფეოდალური ხანის საცხოვრებლის მთლიანი გეგმაც. მიუხედავად ამისა, სტრატეგრაფიულად გამოყოფილი ფილაქვით მოგებულ იატაკქვეშ მდებარე ძველი, თხატკეპნილი იატაკი, რითაც შევსებულია უსწორმასწორო კლდოვანი ქანი. ამაშივეა ამოჭრილი სამეურნეო ხალოებიც (ქვებ-სატყეობის შემთხვევაში, სამალავადაც გამოყენებული), რომლის ფსკერზე მოვიძიეთ IX-X სს. დამახასიათებელი წაბლისფერპრიალა თიხის კურტულის ნატეხები.

ამგვარად, თვით XI-XIII სს. ქალაქის სამოსახლო კომპლექსშივე შევნიშნეთ IX-X სს. უზღუდო, მაგრამ ქალაქური ტიპის სამოსახლოს კვალი: „ფსევდოციკლოპურად აგებულ კედლებში ქვის შერეული წყობის ხასიათის მიხედვით. უზღუდო ქალაქის საცხოვრებელ-სამეურნეო უბნები მარტივი გეგმისა ჩანს: 1 ან 2 სათავსოს მომცველი, კედლები ნაგებია უხეშად თლილი დიდრონი ბაზალტის ქვის უთანაბრო, შერეული წყობით, ღრწოებშევისებული წვრილი ნატეხი ქვით. ამგვარ სამოსახლოს სტრატეგრაფიულად განსხვავებული დონეებიც შეესაბამება და ამავდროული კერამიკაც.

ზემომოტანილი მაგალითების საფუძველზე, გამორიცხული არ უნდა იყოს პირველადი, „ფსევდოციკლოპური“ ნაშთების მოხვედრის შესაძლებლობა განვითარებული ფეოდალური ხანის ნაგებობათა ანსამბლში. ამგვარი წესით ნაგები ნაშთების ასაკის განსაზღვრისათვის კი გასათვალისწინებელია მკვლევართა მიერ დასახლებული რამდენიმე პირობაც, — შემუშავებული გეოლოგიურად მსგავს რაიონებში არსებულ ძველთა შესწავლის საფუძველზე; რომ, ანგარიში უნდა გაეწიოს დასახლებისათვის შერჩეულ ადგილს, ნაციხვარის კავშირს მოსახლეობასთან და ამ სამოსახლოთა განლაგების სისტემას, ზღუდვითა შენების წესს, საცხოვრებლის ტიპს<sup>11</sup> და სხვა.

თუ ამ პირობების მიხედვით გავანალიზებთ ახალქალაქში გათხრით გამოვლენილ ყველა დროის ნაგებობებს და შევეფარდებთ სხენებულ ნასახლარებში ნაწილობრივ შემორჩენილ „ფსევდოციკლოპური“ კედლების შერეული წყობის ხასიათს — დანარჩენს შუაფეოდალური ხანის უმრავლესი ტიპის მშენებლობის ნაშთებს, — მაშინ თვალნათლივ გამოჩნდება უდიდესი სხვაობა შენების ტექნიკური ხერხების მიხედვით. შესამჩნევი გახდება, რომ „ფსევდოციკლოპური“ მშენებლობის ნიშნები არ ეთანხმება არათუ არქაული ხანის — „ციკლოპურ“ (მშრალად წყობილი, დაუმუშავებელი ლოდებისაგან შედგენილ) კედლების ხასიათს ან, მით უმეტეს, — გვიანფეოდალური ხანის კუთვნილ მშენებლობას, — არამედ, არ ეთანხმება თუნდაც შუაფეოდალური ხანის ახალქალაქის სამოსახლო უბნების არც მთლიან გეგმარებას და არც შენების წესს.

მაგრამ აქვე უნდა ვთქვათ, რომ განსაკუთრებით ლავური ქანების რაიონში არსებულ ძველებზე, ასეთი განსხვავებული ხასიათი ადრესა და შუაფეოდალური ხანის მშენებლობას შორის, ერთი შეხედვით ძნელად შესამჩნეველი კი არის ხოლმე.

ცხადია, „ფსევდოციკლოპური“ კედლის რამდენიმე ნაშთი ვერ გამოდგება ახალქალაქის ვრცელ ნაქალაქარზე ადრეფეოდალურ ხანაში მთლიანი დასახლების სისტემის განსაზღვრელად ( — სადღესოდ განათხარში მათი მცირედ აღმოჩენის გამო, ), მაგრამ იგულისხმება, რომ მომავალმა გათხრებმა მოამრავლოს მათი რიცხვი. ამიტომაც, რომ შუაფეოდალური ხანის ქალაქგეგმარებისა და მშენებლობის პრინციპის განსაზღვრელად აქ უძველესად გამოდის უმრავლესი ხასიათის მქონე მშენებლობა; ე. ი. უმრავლეს სამოსახლოთა ის 3-4-სენაკიანი „ბანური სახლის“ ტიპი, რომელიც მართლაც მრავლად შემორჩა XI-XIII სს-ის დაწინაურებულ ციხე-ქალაქს: — რომლებიც მშენებლობის წესითაც და კონსტრუქციითაც გვიჩვენებენ იმ პირობას, რომ ამ ტერიტორიაზე XI-XIII სს-ში ზღუდის შიგნით და გარეთაც უკვე მჭიდროდ სახლობს ეკონომი-



ურად და კულტურულად დაწინაურებული ციხე-ქალაქის მკვიდრნი. ტექნიკური პროგრესი ამ დროს ჩანს ხსნარით (თიხით, დუღაბით) დაკავშირებული ქვის-სუფთად თლამი და მის მხოლოდ პორიზონტალურ რიგებად დაწყობაში; ამავე დროს, ძველი, ადრეფეოდალური ხანის სამოსახლოს ერთობლივ ჩართვაში და მათ ხელახლად განმეორებაში ახლადდაგეგმარებული ციხე-ქალაქის უბანთა შორის.

თავის მხრივ, ადრეფეოდალური ხანის კუთვნილი „ფსევდოციკლოპური“ კედლების ხასიათივ აგრეთვე გვიჩვენებს გარკვეულ ტექნიკურ პროგრესს — შედარებით წინარეფეოდალური ხანის ნაშთებთან ანუ „ციკლოპური“ წყობის მქონე კედლებთან: უძველესი „ციკლოპური“ — მშრალი წყობა, ბუნებიდან აღებული ახლენილი ლოდების გროვაა, მოტანილი ადამიანის მიერ სადგომთა შემოსაფარგლავად, ქვის ყოველგვარი თლისა და დამუშავების გარეშე (ასეთი ლოდოვანებიც არის აქა-იქ შენიშნული ახალხალაქის ფეოდალური ხანის ნასახლართა შორის, მაგ: III-ნასახლარში № 1 სენაკის N და O და VI-ნასახლარის კედლების წყობა). ხოლო, ადრეფეოდალური ხანის კედელთა „ფსევდოციკლოპური“ წყობაში ტექნიკური პროგრესი უკვე იმით ჩანს, რომ ამ დროს დიდრონი ლოდები თუმცა უხეშად, მაგრამ მაინც გათლილია, ღრეჩოებშეესებული წვრილი ნატეხი ქვით ან თიხის ხსნარით; ქვები კი ერთმანეთთან შერეულად-ვერტიკალურის-პორიზონტალურთან მიმართებაშია წყობილი. (ფასადურად).

უნდა ითქვას, რომ ეს უკანასკნელი გარემოება მეტად ნიშანდობლივი აღმოჩნდა აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა განათხარი ძველის ადრეფეოდალური ხანის მშენებლობისათვის, — დამოუკიდებლად იმიზგან, თუ სად რა სახის, ან როგორ. სამშენებლო მასალაა გამოყენებული.

ახალქალაქის ძველი ნაშთების ტექნიკურ-კონსტრუქციული კლასიფიკაციის მიხედვით დათარიღებას ადრეფეოდალური ხანით, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს მათი სტრატეგრაფიაც და ამასთან შესაბამისი არქეოლოგიური მონაპოვარიც — თავის მხრივ დათარიღებული ტიპოლოგიურ-ტექნოლოგიური კლასიფიკაციის ნორმების მიხედვით.

როგორ ჩანს, XI-XII სს. ახალი ქალაქის მშენებელთ აქ ადრეფეოდალური ხანიდანვე IX-X სს. დახვედრიათ რამდენიმე „ფსევდოციკლოპური“ კედლის ნაშთი და გამოუყენებიათ კიდევ სულ სხვა საჭიროებისა და მიზნებისათვის, — ჩაურთავთ რა ისინი ქალაქური სამოსახლოს ერთობლივ კომპლექსში, უქცევიათ „ბანური სახლის“ ერთ-ერთ ნაწილად და ზღუდე-გალავნით განმტკიცებულ ქალაქის უბნებისათვის ერთიანი გეგმით დაუკავშირებიათ.


ამავე ძველ სამოსახლოს ნაშთებს ეთანხმება აგრეთვე ტოლმკლავა ჯვრის გეგმის მქონე ეკლესიის წარმოშობაც,<sup>12</sup> როგორც დაწინაურებული სამოსახლოს მკვიდრთა იდეოლოგიური მრწამსის გამომხატველი კერა.

როგორც შენების წესით, სხვადასხვა ქვის დეტალებზე გამოსახულების მოტივით ანუ არქეოლოგიურ-ხუროთმოძღვრული ანალიზით გაირკვა, — ეკლესია IX-X სს. უნდა იყოს აგებული. ეს არის თითქმის ტოლმკლავა, ოდნავ ღერძდარძელებული ჯვრის გეგმა, ნალისებური აფსიდიით, ჩანს, — ცენტრალურგუმბათიანიც.<sup>13</sup> მაგრამ მის ირგვლივ გათხრით მოძიებულ დეტალთა და ორნამენტთან ქვათა შორის ზოგიერთს უფრო ძველი იერი აქვს, ვგებ VI-VII სს. დამახასიათებელიც. მაგ.: სვეტისთავი, შემკული ამოკვეთილი სამყურაფოთლოვანი ორნამენტით, რომელიც აქ, შესაძლოა, პირველადი სხვა ნაგებობიდან იყოს შემორჩენილი და მამინ გამოყენებული როცა ეკლესიის აგება IX-X სს-თვის მოხდა. ამ დროისათვის არის დამახასიათებელი ქვის დაჩუქურთმება რომბებისა და ფოთლოვან სახეთა ერთობლივი წნულით.

ქართული მკვლევართა საზოგადოება, 1960

საქართველოს  
სსრკ-ის  
მეცნიერებათა  
აკადემია

მასშტაბი 1:50



ახალქალაქი. ნაქალაქარი. ჭვრის ეკლესია — IX-X სს., აღდგენილი — XII ს. გეგმა.

Ахалкалаки. Городище. Церковь крестового плана — IX—X вв., возрожденная в XII веке.

ვფიქრობთ, ახალქალაქის ძველი სამოსახლოს სამლოცველო ისეთი ტიპის გუმბათიან ეკლესიათა ერთ-ერთ გარდამავალ ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს, რომელთა მორთულობაში ჯერ კიდევ თავს ინარჩუნებს ხსენებული დეკორი.

ისტორიულად ცნობილია, რომ ახალქალაქის ვრცელი სამოსახლოს ეკლესია, რომელიც შემდგომ XI ს. უკვე ქალაქად ქცეული უბნის ძირითად ერთეულად იქცა, სულ მალე XI ს. II ნახ-ში სელჩუკთა შემოსევის მსხვერპლი გამხდარა.

ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო მისი მეორედ შენება-აღდგენა. ამაზე მეტყველებს XI-XII სს-თვის დამახასიათებელი ჩუქურთმიანი ქვები: წნული ორნამენტით, „ვალისის“ მოყვანილობის ქვის დეტალები, ლავგარდანის ქვები და განსაკუთრებით უტყუარი საბუთი — ცნობილი წარწერიანი ქვა, დათარიღებული ვ. ცისკარიშვილის მიერ XII ს. II ნახ-ით, მასში მოხსენებულ პირთა და პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით.<sup>14</sup>

ამგვარად, უკვე IX-X სს. ყოფილა ახალქალაქში ზოგი ის ნაგებობა, რომელიც ვრცელი სამოსახლოს კუთვნილი ჩანს და ამდენად, მისი „წინაქალაქობის“ ეტაპის მარჯვენადად ჩაითვლება. როგორც ჩანს, სწორედ მის ბაზაზე წარმოქმნილა შემდგომ შუაფეოდალური ქალაქი — უკვე „ახალქალაქობის ხანაში (XI ს.).

არ გამოვიცხავთ, რომ IX-X სს-ში ახალქალაქი ჯერაც „უზღუდი და უციხო“ ქალაქთა რიცხვს მიეკუთვნება; ციტადელის მხარეს, ზღურბლის ქვეშა კედლის ნაწყვეტის აღმოჩენა ბურჯითურთ, თუმცა ძველი, მაგრამ ვეგბ დაწყებული და დაუმთავრებელი დამცველი სიმაგრის ნიშანი იყოს, — და არა მთელი ციხისა: ციტადელის ქ. XI ს. შენდება და იერთებს ზღუდეშემოვლებულ ქალაქსაც. IX-X სს. რაიმე სამშენებლო საქმის შესახებ სრულიად დუშს საისტორიო წყარო, რაც, შესაძლოა, წყაროთა ნაკლებობით აიხსნას ან იმით, რომ იშხანად ახალქალაქის სამოსახლო მართლაც ჯერ არ არის „გაქალაქებული“; მაგრამ XI ს. მისი ამ სახელით მოუხსენებლობა წყაროებში, არ უნდა ნიშნავდეს მის არ არსებობას თუნდაც X ს-მდე. „გაქალაქების“ მომენტი კი ცოტა გვიან დგება. როგორც უემოთაც დავინახეთ, არქეოლოგიურადაც მტკიცდება, რომ საამისო პირობები XI ს-ის 40-იანი წლებისათვის უცბად ვერ შეიქმნებოდა და საფუძველი უკვე მომზადებული იყო.

ჯავახეთის ახალქალაქის 18 კა ტერიტორია ერთ-ერთი უდიდესია შუაფეოდალური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-ქალაქთა შორის. მისი დაცვა-რესტავრაცია გადაუდებელ საჭიროებად გვესახება, რადგან უკვე სადღეისოდ — მისი კოშკები და კედელ-ბურჯები, რომელნიც კონსტრუქციული და ძველი საინჟინრო ხელოვნების თვალსაზრისით თითქმის უნიკალურნი არიან, — კატასტროფის წინაშე დგანან: შესაძლოა ერთმა მიწისძვრამ ან გაუფრთხილებელი და დაუდევარი მშენებლების უხეშმა „ჩარევამ“ ძველის დაცვის ზონაში, საერთოდ გაანადგუროს ეს ძეგლი, — ხრამში ჩაიტანოს დიდებული კოშკები... ამიტომ სასწრაფოდ უნდა შეკეთდეს ყველა მიწის ხვეით მდგარი ნაგებობა.

1. გ. ლომთათიძე, ჯავახეთ-ახალქალაქის არქეოლოგიური ექსპედიციის პირველი (1960 წ.) კამპანიის შედეგი, ივ. ჯავახიშვილის საბ. ისტ. ინსტიტის საველე არქ. სესია, 1961;
2. კ. მელითაური, ახალქალაქის ციხის ნაშთები, „ძველის შეგობარი“, № 40, 1976, გვ. 7-11.
3. ე. ჩანდიერი, ჯავახეთის ახალქალაქის ისტორიისათვის, ფეოდალური საქართველოს არქეოლოგიური ძეგლები, 1-11, 1969, 1974; მისივე, „ახალქალაქი ჯავახეთისაჲ“, „ძველის შეგობარი“, № 40, 1976, გვ. 12-24.
4. Ш. Месхиа, Города и Городской строй феодалной Грузии, 1959, გვ. 33-36.
5. „მატიანე ქართლისაჲ“, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი... с 202 а. А 315, М 337, 1, 1955, გვ. 298.
6. იქვე, გვ. 306. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 11, 1965, გვ. 143-144.
7. თ. გამსახურდია, ქალაქები, ეპიგრაფიკა და ხელოსნობა, საქ. ისტ. ნარკვევები, 11, 1973, გვ. 344-349.
8. ლ. კილაშვილი, ქალაქები, ფეოდალურ საქართველოში, 11, 1970, გვ. 95-113.
9. ნ. ბერძენიშვილი, ჯავახეთის 1933 წლის დღიური, საქ. ისტ. საკითხები, 1, 1964, გვ. 50-51.
10. ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, 1955, გვ. 15.
11. იქვე, გვ. 36-70. О. Ш у а з и, История архитектуры, II, М., 1937, გვ. 471, 493, 533.
12. ქ. ჭლამაია, ჯავახეთის ახალქალაქის ძველი სამოსახლოს ისტორიისათვის, აპ. და შენ. მუშაეთა XII სიმეცნ. კონფ., 1961, გვ. 333-335.
13. Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, 1948; მისივე, Архитектура Кахетии, 1959, გვ. 271, 369.
14. ე. ცისკარიშვილი, ჯავახეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, 1959, გვ. 52-60.

დღევანდელი სოციალისტური რუსთავი აშენდა ერთ-ერთ უძველეს ნაქალაქარზე. მისი გათხრა-შესწავლა ახალი ქალაქის მშენებლობასთან დაკავშირებით დაიწყო. 1944-1959 წწ. საქ. მეცნ. აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიის და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიცია გ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით გათხრებს აწარმოებდა ქალაქის სხვადასხვა უბანზე. გამოიჩინა, რომ აქ მოხახლეობა ჯერ კიდევ 3-4 ათასი წლის წინათ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა დასახლებული. ამისი საბუთია ამ დროის სამარხები და ნახახლარები.

ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით უკვე ადრეშუასაუკუნეებში შეიქმნა რუსთავში კუხეთის საერისთავო ცენტრი, ხოლო V ს. დაარსდა საეპისკოპოსო. IV-V და VI-IX სს. გათხრილ სამაროვნების მიხედვით კარგად ჩანს, რომ რუსთავი ხალხმრავალ ქალაქს წარმოადგენდა. განსაკუთრებით ინტენსიური ცხოვრება კი, როგორც ნაქალაქარზე, ისე ციხეზე შუაფეოდალურ ხანაში ჩანს. რუსთავის ციხე-ქალაქის აყვავების დრო 1115 წ. იწყება მას შემდეგ რაც დავით აღმაშენებლის ჯარმა განდევნა თურქ-სელჩუკები.

რუსთავის ციხე-ქალაქი, ისე როგორც სხვა შუასაუკუნეთა ქალაქები ეკონომიური და პოლიტიკური მნიშვნელობის ძეგლია. ციხე-ქალაქი ადრეშუასაუკუნიდან მოყოლებული ვიდრე მის აოხრებამდე (1265 წ.) აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებაში. ისიც საყურადღებოა, რომ ქალაქი კეტავდა თბილისის მისადგომს. სამხრ. აღმოსავლეთიდან მეთვალყურეობდა მნიშვნელოვან გზაჯვარედინს: ქვემო ქართლი, კახეთი — აშურბაიჯანი. რუსთავზე გადიოდა შუასაუკუნეთა არა ერთი მნიშვნელოვანი სავაჭრო-სატრანზიტო გზები.

რუსთავის ციხე, ისე როგორც სხვა შუასაუკუნეთა ციხეები ქალაქის განუყრელია და მთავარი ნაწილია. იგი არა მარტო ქალაქის სიმაგრეს წარმოადგენს, არამედ მისი პოლიტიკური ცენტრიცაა.

რუსთავის ციხე ქალაქისაგან მოშორებითაა აშენებული მტკვრის მარცხენა ნაპირას,<sup>1</sup> მცირედ შემალბებულ ბორცვზე (გორაზე) ფართობით 1500 X 1000 მ.<sup>2</sup>

რუსთავის ციხე ველის ციხეა, მის მიუწვდომლობას ერთის მხრივ ქმნის მტკვრიდან უძველეს დროში გაჭრილი არხი, რომელიც ციხეს შემოუყვებოდა (აღმ. დასავ. და ჩრდ. მხრიდან) და მეორეს მხრივ ციხის გაღავანი — ზღუდე, რომელიც ყველა პერიოდისათვის ძნელად ასაღები სიმაგრე უნდა ყოფილიყო, რადგანაც ნაგებია თავისი დროის ტექნიკის საუკეთესო მიღწევების მიხედვით.

რუსთავის ნაციხვარზე არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილი ძეგლები საყურადღებო მასალას იძლევიან როგორც ციხის ხუროთმოძღვრული სახის გამოკვეთის და სააღმშენებლო პერიოდის სტრატეგრაფიის დადგენის, ისე ქვეყნის სოციალური სახის გარკვევისათვის.

რუსთავის ნაციხვარის დასავლეთ უბანზე გათხრების შედეგად დადასტურდა, რომ ციხის ზღუდე სამჯერაა აშენებული.



რუსთავის ციხის გეგმა (კ. მელითაურის ნახაზი).

План руставской крепости (чертеж К. Мелитаури).

პირველად ადრეფეოდალური ხანის დასაწყისში (IV-V სს.) — პილონებიანი გალავანი ოთხკუთხა კოშკებით.


მეორედ — ე. წ. შიდა ზღუდე — ადრეფეოდალური ხანის მიწურულს (IX-X სს.) — ნახევარწრიული ყრუ და მცველიანი კოშკები.

მესამედ — XII ს. ნატეხი ქვებით დულაბზე ამოყვანილი — „ფარაკი“ აქვე აღმოჩენილი მასალა ქრონოლოგიურად შეესატყვისება სამივე პერიოდის ზღუდე-თა თარიღს.

პირვანდელი ზღუდე ნაციხვარის სამხრ. აღმ.—ჩრდ. დასავ. მხარეს მთელ სიგრძეს გაჰყვება. მისი კედლის სისქე 0,90 სმ. შიდა მხრიდან ერთი მეორეს 2,50-4,50 მ. მოშორებით 1 მ. სიმაღლის 0,75 მ. სიგანის პილონები აქვს. გარედან კი მიშენებულია ოთხკუთხა კოშკები. პირვანდელ ზღუდეს საძირკვლად გამოყენებული აქვს რიყის ქვები, შემდეგ კი ერთმანეთს ენაცვლება თლილი ოთხკუთხა ქვები, რიყის ქვები და პორიზონტალურად დალაგებული აგურების მწკრივი.

სასახლის კომპლექსში აღმოჩენილი  
ბრინჯაოს შტანდარტი.

Бронзовый штандарт.



თავდაპირველი ზღუდის დანგრევის შემდეგ, რომელიც არაბთა შემოსევას უნდა უკავშირდებოდეს, აშენებული იყო მეორე ზღუდე.

ექსპედიციის მიერ ციხის დასავლეთ ნაწილში გათხრილია 98 მ. სიგრძის ტექნიკურად ბრწყინვალე ნაგები მეორე ზღუდე ე. წ. შიდა ზღუდე. ამ ორი ზღუდის ქრონოლოგიური შესაბამისობის დადგენისათვის საყურადღებოა, რომ შიდაზღუდე პირვანდელ ზღუდეზე ისეა მიშენებული, რომ მის G, P და R ნახევარწრიულ კონტრფორსებში მოქცეული პირვანდელი გალავნის ოთხკუთხა კოშკები.

შიდა ზღუდე პირვანდელ ზღუდის მსგავსად არის ნაშენი, საძირკველად რიყის ქვები აქვს, რომელსაც ადევს ყვითელი ქვის კვადრები, შემდეგ 2-3 აგურის პორიზონტალური რიგი და ა. შ. განსხვავებულია კოშკების პერანგების წყობა. ღრუ კოშკებს



ციხის დასავლეთი ნაწილი.

IV ოთახის სარდაფში ნაპოვნი ქერის  
დეკორატიული მორთულობის დეტალი.

Западная часть крепости.

Деталь декоративного убранства  
найденного в подвале IV комнаты.



პერანგად პორიზონტალურად დაწყობილი აგურები აქვს, ხოლო მცველიანს კი შემოკლებით ხან ვერტიკალურად და ხან პორიზონტალურად ოთხ-ოთხი აგური. შიდაზღუდვს ზემოდან შემორჩენილი აქვს ალიზის წყობა. მცველიან კომპლექტზე ალიზი გაჯჯა ამოყვანილი, ხოლო ღრუ კომპლექტზე — ქვიშის თხელ ფენაზე.

ხაზგასმულია, რომ რუსთავის ციხის საშენ მასალაში ალიზს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ სადღეისოდ მხოლოდ რუსთავის ციხეზე დამოწმებული გაჯჯე ამოყვანილი ალიზი (შიდაზღუდვის ყრუ კომპლექტი).

შიდაზღუდვის დანგრევა ციხიდან თურქ-სელორეკების განდევნას უნდა უკავშირდებოდეს.

რუსთავის ციხის მესამე ზღუდე — გარე ზღუდე ნატები ქვევით დედაბზე ამოყვანილი. იგი XII ს. ნაშენია.

ციხის მხარეს (სამხრ. აღმ. და ჩრდ. დასავ.) შუაფეოდალურ ხანაში შიდა ზღუდე გაქმებული ჩანს<sup>2</sup>, ხოლო ამ ორ ზღუდეს შორის მოქცეული ფართიანი ალიზით შევსებული და საცხოვრებლად გამოყენებულია (ქვევრები, თონეები და სხვ.).

რუსთავის ქალაქი, ისევე როგორც ციხე XIII ს. მონღოლთა მიერაა აოხრებული და მესამე ე. წ. გარე ზღუდე მათ მიერვეა დანგრეული. ამის შემდეგ ციხემ დაკარგა თავის მნიშვნელობა და აღარ აღმდგარა<sup>3</sup>.

რაც შეეხება ექსპედიციის მიერ ციხის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში აღმოჩენილ ნაგებობათა კომპლექსს<sup>4</sup>, იგი თუმცა სადღეისოდ მთლიანად გამოკლებილი არ არის, მაინც საყურადღებო მასალას იძლევა ციხის სოციალური სახის გამოკვითისათვის. ნაგებობის მთელ ფართობზე ნაპოვნი იყო ასეულობით აგური, კრამიტი, შორენკეცი, დაკბილული კარნიზები, სვეტების ნამტვრევები სადა და მოხატული კედლების ნარღვევები და სხვა. ყველა ეს კი გვაფიქრებინებს, რომ ნაგებობა წარმოადგენს შუაფეოდალური ხანის წარჩინებული პირის სასახლის ნაშთს. საგარაუდოა, რომ სასახლე რამდენიმე სართულიანი იყო. მაგრამ ახლა ფაქტიურად შემორჩენილია მხოლოდ მეოთხე ოთახის სარდაფი პირველი მეორე და მესამე ოთახების და მათ შორის მოქცეულ ტალანის პირველი სართულის ნანგრევები.

სასახლე ციხის აღმოსავლეთ და ჩრდილო ზღუდეზეა მიშენებული. კედლები სხვადასხვა მასალისაგან არის ამოყვანილი (ალიზი, აგური, რიყის ქვა). კედლები მასიურ პილონებშია ჩაშენებული, სასახლე რამდენჯერმე გადაკეთებული ჩანს. ნაგებობათა კედლები გაჯჯით შელესილი ყოფილა, იატაკად აგური ფენილა. ამ კომპლექსიდან ყველაზე საყურადღებო მასალა მეოთხე ოთახის სარდაფშია ნახული. სარდაფს იატაკად თინატკეპნილი აქვს. იატაკზე დამწვარი ხის ძელები და ბოძები თითქმის მთელს ფართობს ფარავდა, აქვე ნახული იყო კედელთან ნარღვევები, ამათ გარდა ჭერის კარნიზი, ჭერის მორთულობა: გაჯჯე ამოკვეთილი და ნაძერწი ორნამენტები, ვარდულები, წნულები, ვარსკვლავები და სხვ. უმრავლესობა ნაირფრად შეღებილია (შავი, ცისფერი, წითელი, ყვითელი), ფერადი საკმლის მინის ნამტვრევები დატვიფრული ორნამენტით შემკული, სარკმლის მინის ჩარჩოები. ყველა ეს კი საბუთია იმისა, რომ ჩაქცეული და განადგურებული მეოთხე ოთახი თავის დროზე სასახლის სახეიშო დარბაზი უნდა ყოფილიყო მდიდრულად და მრავალფეროვნად მორთული. აქვე უნდა ითქვას, რომ საქართველოში დღემდე შუაფეოდალური ხანის საერო კედლის მხატვრობის ეს პირველი აღმოჩენაა.



სარდაფის სამხ. აღმ. ნაწილში აღმოჩნდა მონეტების განძი 79 ცალი, რქედან 75 რუსუდანის სახელითაა მოჭრილი, 2 დემეტრე პირველისა და 2 — ჯალალედინის. ეს მონაპოვარიც გარკვეულ ქრონოლოგიურ ჩარჩოში აქცევს ძველს. **ეპიგრაფიკა**

რუსთავის ქალაქის კატასტროფის თარიღი — 1265 წელი, როგორც ამტკიცებდა მთელ-ლთა შემოსევას უკავშირდება, რის შემდეგ ციხე-ქალაქს დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა და არ აღმდგარა, თუმცა ციხეზე შემდგომ ხანაში ცხოვრება გრძელდება, ამის საბუთია 1976 წ. სასახლის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, მის ნანგრევებზე აშენებული პატარა ეკლესიის ნაშთი XIV-XV სს. და იქვე აღმოჩენილი სამარხები.

რუსთავის ციხის რესტავრაცია — დაცვა ერთი უახლოესი ამოცანათაგანია, ამ მხრივ განსაკუთრებით ყურადღების ღირსია ციხის სამივე პერიოდის ზღუდე — კოშკები, სასახლე და კარის აბანო. ვინაიდან ისინი ფეოდალური საქართველოს ერთ-ერთ საყურადღებო და მნიშვნელოვან ძეგლებს წარმოადგენენ.

<sup>1</sup> ციხე ითხრებოდა გ. ლომთათიძის (1959-1962 და 1965 წ.) მ. მიწისუფლის (1972 წ.) და ნ. უგრედიძის (1973-76 წწ.) ხელმძღვანელობით.

<sup>2</sup> გორა ბრინჯაოს ხანაში დიდ და მკიდრო დასახლებულ ნაშთსაქარს წარმოადგენს.

<sup>3</sup> ციხის აღმოსავლეთ მხარეს შუაფეოდალურ ხანაში ორივე ზღუდე მოქმედია.

<sup>4</sup> საყურადღებოა, რომ ექსპედიციამ ამ უბანზე ციხის შიდა ტერიტორიაზე გათხარა დასავლეთ გარე ზღუდეზე მიშენებული XVII ს. ნაგებობათა ნაშთი (სამი მცირე ზომის სენაკი) ეს ნაგებობა ნაზარ-ალი-ხანის ანუ ერეკლე I სახელს უნდა უკავშირდებოდეს. რომელმაც როგორც ცნობილია, მცირე ხანს რუსთავის ციხეს შეაფარა თავი.

<sup>5</sup> ამ ნაგებობათა გათხრა დაწვებული იყო გ. ლომთათიძის მიერ 1961 წ.

## წმინდა გიორგის ეკლესია სოფ. ისრითიდან

ძველი დღემდე ნაკლებადაა ცნობილი. იგი ვანის რაიონში მდებარეობს, სულორის ხეობაში, მდინარის მარცხენა ნაპირის პატარა კლდოვან შემადლებზე. მდინარე ჭყოფს ეკლესიას ლაბაჯაურისაგან — სოფ. ისრითის წყლის პირას დასახლებული უბნისაგან. რაიონულ ცენტრს სოფელი 6 კმ-ითაა დაშორებული. არავითარი ცნობა ძველის შესახებ წერილობით წყაროებში არ გვხვდება, მას არც ბატონიშვილი ვახუშტი იხსენიებს. მხოლოდ ექვთიმე თაყაიშვილმა იწახულა და აღწერა იგი XX საუკუნის დასაწყისში<sup>1</sup>. მოგვიანებით ძველი იწახულა ნინო ხოშტარიამ. მას მერე ძველმა არსებითი ცვლილებები განიცადა.

ადგილობრივი მოხატულობა მას „ლაბაჯაურის წმინდა გიორგის“ უწოდებს. კვარცხლბეკად გამოყენებული კლდოვანი ბორცვი მოხერხებულად არის ნაპოვნი. ეკლესია შორიდანვე კარგად აღიქმება ყოველი მხრიდან. იგი ქვაყორისა და კირხსნარის ნაერთითაა ნაგები, მოპირკეთებულია ქვიშაქვის სქელი და არათანაბარი ზომის ფილებით. როგორც პორიზონტალური, ასევე ვერტიკალური ნაკერების სწორხაზოვნება ხშირად ირღვევა. ეკლესიის გვემა კვადრატს მიახლოებულ წესიერ სწორკუთხედს წარმოადგენს (6.10X5.15) ნახ. 1. იგი მარტივი ერთნაირი მცირე დარბაზული შემობაა, დგას ერთსაფეხურიან ცოკალზე, რომელიც ალაგ-ალაგ მიწითაა დაფარული. პროფილირებული, აადა კარნიზის ქვეტი ფსადაზე ფრამენტულადაა შემორჩენილი. შიგნიდან მას ჩვეულებრივი, ნახევარწრიული აბსიდი აქვს, ორსავე მხარეს მცირე, გვემაში წრიული მოყვანილობის ნიშებით. მარტივი კაპიტელებით დაბოლოებული კედლის სვეტებითა და საბჯენი თალით ნაეი ორ არათანაბარ ნაწილად იყოფა (ნახ. 2 ბ). სამხრეთის სვეტი თითქმის აღარ არსებობს. იგი მოგვიანებით ნახევარმდე ანოუყვანიათ კირქვის ფილებით, ასე რომ კაპიტელი საყრდენის გარეშეა დარჩენილი (ნახ. 2 ა).

ეკლესიას კარის ორი ღიობი აქვს, სამხრეთით და დასავლეთით. როგორც ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, დასავლეთის ღიობი მოგვიანებით გაუჭრიათ ფაცრული ეკედერისათვის; მას ჩვენს დრომდე არ მოუღწევია. მოჩუქურთმებულია ორივე — აღმოსავლეთისა და დასავლეთის სარკმლები. 1961 წელს ძველზე ჩატარებით სარესტავრაციო სამუშაოები. თითქმის მთლიანად განუახლებიათ ჩრდილოეთის კედელი კირქვით. კირქვითაა შევსებული აღმოსავლეთისა და დასავლეთის ფსადადებიც, ხოლო სამხრეთით ფსადის შუა ნაწილს შემორჩა მხოლოდ ქვიშაქვის ფილები. (ნახ. 4).

შიგნიდან ეკლესია მოხატული ყოფილა, საღებავთა კვალი ალაგ-ალაგ დღესაც შეიმჩნევა; კამარა ნაწილობრივ მცენარეული საფარითაა დაფარული, საბურველი ჩვენამდე არ შემორჩენილა. ძველს არავითარი წარწერა არა აქვს. ნაგებობის გვემა, რომელიც სწორკუთხედს წარმოადგენს მასში ჩაწერილი ნახევარწრიული აბსიდი, საკმარისი არაა თარიღის დასადგენად, მხოლოდ დეკორის საშუალებითაა შეაბიჯებული მეტ-ნაკლები სიზუსტით განისაზღვროს ეკლესიის აგების დრო. ე. თაყაიშვილი ძველს, მისი მორთულობის კაბენისა და გუდარების მონასტრების ჩუქურთმებთან შედარების შედეგად, ზოგადად XII—XIII სს. ათარიღებს.

პირვანდელ სახეს შედარებით უკეთ ინარჩუნებენ დასავლეთისა და აღმოსავლეთის ფასადები (ნახ. 3, ფოტო 2). თითქმის მთლიანადაა დაკარგული დასავლეთ-ჩარკმლის შემკულობის ზედა, მარჯვენა ნახევარი. უშუალოდ სარკმლის ჭრილს საზღვრავს გრებილი, რომელიც ქვედა ნახევარზე მარცხნიდან მარჯვნივ აღმა მიუყვება. ხოლო მეორე ნახევარზე იგი მარჯვნიდან მარცხნივ უელის ლილვს (ნახ. 5). მოჩუქურთმებულ საპირეს გარშემო უელის თაღოვანი, ორმაგილილიანი გლუვი ჩარჩო, რომელიც ქვემოთ ეშვება და შუა გზაზე წყდება სამმაგი კონით. მორთულობას ამთავრებს თავსართი. იგი სარკმლის თაღოვან ნაწილს ეყრდნობა. მის ჩუქურთმებს ჩვენამდე არ მოუღწევია.


აღმოსავლეთის სარკმელი პირვანდელ სახეს ინარჩუნებს, თუ არ ჩავთვლით თავსართსა და იმპოსტებიდან გამჭრალ ჩუქურთმებს (ნახ. 6). ფანჯრის ჭრილს აქაც გრებილი ლილვი საზღვრავს. საპირეს ორნამენტითაა შემკული. მას აქაც ორმაგი გლუვი ლილვი აჩარჩობს, რის შემდეგაც სამმაგ ნახევარსვეტად ეშვება ქვემოთ და შემკული ფუძით ეყრდნობა სწორკუთხა კვარცხლბეკს, რომელიც თავის მხრივ ცოკოლზეა დაბჯენილი. თავსართი ეყრდნობა იმპოსტებს, საიდანაც ორივე მხარეს, თავსა და ბოლოში, ბურთულებით დასრულებული ორმაგი ლილვები ეშვება ბაზისებისაკენ. ბაზისები შემკულია რელიეფებით — კურდღლებზე ბრჭყალებჩავლებული არწივებით.

სამხრეთის შესასვლელის მარჯვნივ წყობაში შემორჩენილია კარის მორთულობის ფრაგმენტი მცენარეულ ჩუქურთმებიანი გრძივი ფილის სახით. (ფოტო 1). ეს მოტივი, ლენტოვან წრეში ჩაწერილი ფოთოლი, საუკუნეთა მანძილზე უამრავი სახესხვაობით გვხვდება თითქმის ყველა სახის არქიტექტურული დეტალის მორთულობაში. შესაძლოა ამ ჩუქურთმასაც გულისხმობდა ე. თაყაიშვილი, როცა იგი კაბენისა და გუდარეხის მონასტრების მორთულობებს ადარებდა ამ ცკლესიის ჩუქურთმებს<sup>2</sup>. მსგავსი მოტივი კაბენში კარნიზის შესამკობადაა გამოყენებული. ეს შესასვლელი, მსგავსად დასავლეთის ლიობისა, ბეტონის ფილებით იქნა გადახურული რესტავრაციის დროს. ნიშო ბოშტარას არქივში შემორჩენილ ფოტოსურათზე, რომელიც რესტავრაციამდეა გადაღებული, სამხრეთის კარი თაღოვანი ჩანს.

დასავლეთ სარკმლის საპირედ გამოყენებულია წრე-რომების წნელის „კლასიკური“ სახე (ნახ. 5). ქართულ ხუროთმოძღვრებაში X ს-დან (ბეღია) მოყოლებული XIV ს-მდე იგი თითქმის ყველგან კარ-ფანჯრების საპირეებად გვხვდება (სავანე, ნიკორწმინდა, მანგლისი, ბეთანია, თიღვა, აბტალა, საფარა, იკოთა ქვათახევი სამთავრო, კაბენა, თარი, დაბა და სხვ.), გვხვდება აგრეთვე XV ს არქიტექტურაში. ცნობილია ამ მოტივის გართულებული ან გამარტივებული სახესხვაობანიც. წრე-რომების წნელის ეს სახე რომებისა და წრეების ისეთი თანმიმდევრობისაგან შედგება, როცა ეს ფიგურები ერთმანეთშია ჩახლართული ისე, რომ წრე წრეს უკავშირდება ნასკვით, რომში კი რომსს ჯაჭვისებური ქდობით. ამასთანავე, წრეცა და რომიც ნასკვებით უკავშირდება პარალელურ არწივებს, რომლებიც მთელს გაყოლებაზე საზღვრავენ ამ ფიგურებისაგან შედგენილ წნულს<sup>3</sup>. განსხვავებით იმ ადრეული ძეგლებისაგან, სადაც ეს მოტივია გამოყენებული (ბეღია, ნიკორწმინდა, სავანე), აქ იგი რამდენადმე სქემატურია, ნახტიც შედარებით დაუხვეწავია, ხოლო თაღოვან ნაწილებში რომების წვეროები მომრგვალებულია. ასეთივე სურათია XIV ს. დათარიღებულ დაბის აღმოსავლეთ ფასადის სარკმელზე. ეს მორთულობა კი ჩასმულია გლუვი ნახევარსვეტების კონაში. სარკმლის ამგვარი გაფორმების გარკვეული სახესხვაობით არს.


ნახ. 1.

Чертеж 1.



ნახ. 2.

Чертеж 2.



აგებული XII ს ბოლოსა და XIII ს მრავალი ძეგლის ფანჯარა. მათი საერთო ნიშანი ჩარჩოდან ნახევარსვეტთა კონების დაშვებაა ქვემოთ, რომლებიც ან შუა გზაზე წყდებიან, ან სწორკუთხა ბაზამდე ეშვებიან. ეს მოტივი საუკუნეთა მანძილზე თითქმის უცვლელი რჩება, იცვლება მხოლოდ მოჩარჩოების დამუშავება. ადრეულ ძეგლებში სარკმლის ქვედა კუთხეებში მოჩუქურთმებული სწორკუთხედებია გამოყოფილი. ასევე სწორკუთხედებს ეყრდნობა თაღოვანი ნაწილიც (მაღალაანთ ეკლესია), თვით ლილვებიც მდიდრულადაა შექცული გრეხილებით. მოგვიანებით ხდება ამ მოტივის




ნახ. 8.

Чертеж 3.

განტვირთვა სხვადასხვა მორთულობისაგან, ქრება ქვემო კუთხეების ოახკუთხედები (დმანისის კარიბჭე), ქრება გრებილებიც ლილეებზე, ხოლო XIII ს პირველი მეოთხედით დათარიღებულ აბტალის მცირე ეკლესიაში სარკმელი ყველა სხვა ელემენტისაგან განტვირთულია და მხოლოდ გლუვი ნახევარსფერო კონის საყრდენი — მოჩუქურთმებული კვარცხლბეგია გამოყოფილი<sup>1</sup>. ასეთივე სურათია სათხის სამხრეთ მიწაშენის აღმოსავლეთ სარკმელზე, თირის სამხრეთ ფასადზე და სხვ.

ნახ. 4.

Чертеж 4.



განსაზღვრულ ძეგლზე დასავლეთის სარკმელი ძლიერაა დაზიანებული (ნახ. 5). ფანჯრის ჩარჩოებიდან ქვემოთ დაშვებული და შუა გზაზე შეწყვეტილი ნახევარსვეტთა კონის თავდაპირველ მდგომარეობად მიღება საეჭვოა, მოგვიანებით გაჭრილ კარის ღიობსაც შეეძლო ის შუა გზაზე გაეწყვიტა.

აღმოსავლეთის სარკმლის აგებულებისათვის ჩვენ ზუსტი ანალოგია ვერ მოვიძიეთ. როგორც აღვნიშნეთ, ნახევარსვეტთა კონაზე „შესმულ“ სარკმელს აჩარჩოებს ბაზისებზე დაყრდნობილი ორმაგი ლილვები და იმპოსტებზე დაბჯენილი თავსართი. ფანჯრების მორთულობის ამდაგვარი მოტივები მხოლოდ სამხრეთ საქართველოს ადრეულ ძეგლებზე გვხვდება, იმ განსხვავებით, რომ ეს მორთულობა უშუალოდ საპირის ან სარკმლის ქრილს ერტყმის სამი მხრით გარს<sup>5</sup>. აქ ლილვები თავისუფალია გრეხილებისაგან, რომლებიც ტაო-კლარჯეთის ადრეული ძეგლებს აუცილებელი კომპონენტია. თავსართი მოკლებულია მხრებს, ქვემოთ არშიად გაყოფილი აქვს გრეხილი ლილვი (ნახ. 6). ზუსტი ანალოგია ვერ მოვეძებნეთ, აგრეთვე, აღმოსავლეთ სარკმლის საპირის ორნამენტს, თუმც აქ არაა არც ერთი უცნობი ელემენტი. ეს ჩუქურთმა წარმოადგენს წრეების, სწორკუთხა ორი რიგისა და სამმაგი კვანძებისაგან შედგენილ წნულს (ნახ. 7 გ). წრეები სამმაგი კვანძებით იკვრება ერთმანეთთან და ამავე ელემენტებთან უკავშირდებიან ისინი წნულის მსაზღვრავ პარალელურ არშიებს. თითოეული სწორკუთხედი გრძელი ფუძით საპირის ცენტრში ებჯინება მის მოპირდაპირე სწორკუთხედს, ხოლო ვიწრო ფუძეებით — მის ზემოთ და ქვემოთ მდებარე სწორკუთხედებს. ამ ორნამენტის ერთმანეთზე მიხმული წრეების რიგი შეიძლება დაეშალოს ორი სახის თავისთავში ჩაკეტილ ფიგურულ ლენტად. პირველი ფიგურით ვერ ტიკალურ რიგში იქმნება წრეთა ზედა და ქვედა მუთხედები, ხოლო მეორე ფიგურით — გვერდითი, მართკუთხედები კი იქმნებიან წნულის მსაზღვრავი არშიებიდან გამომავალი ლენტებისაგან, რომლებიც წრეთა ცენტრში ტყდებიან მართა კუთხით და კვლავ არშიას უბრუნდებიან. შიდა მსაზღვრავი არშიის კუთხეებში კვანძების ხლართვა ვერაა სრულყოფილი. განსაკუთრებით თვალში საცემია მარჯვენა კუთხეში კვანძების ერთ-

მანეთთან დაუკავშირებელი, ქაოტური გროვა. მიახლოებით ანალოგიას ვხვდებით ხობის XIV—XV სს. დათარიღებული ძეგლის დასავლეთ კარიბჭის კამარის სამხრეთ-აღმოსავლეთ თაღებზე (ნახ. 7 ა). იქ უარყოფილია კვანძები და, გარდა ამისა, წრეებიც ორ რიგად არის დაწყვილებული, რომლებსაც ერთმანეთთან გვერდებზე სწორკუთხედები აკავშირებს, შუაში კი კვადრატი. მეორე შემთხვევაში სწორკუთხედების მ-გივრად სამკუთხედები იხლართება წრეში და ფუძეებით ებჯინება ერთმანეთს (ნახ. 7 ბ). ამ მოტივის სამივე სახესხვაობაში წრის შუაგულში ჯვარი წარმოიშვება. განსახილველ ძეგლზე ოსტატი ვერ აგრძელებს ამ ჩუქურთმას თაღოვან ნაწილში და აქ იყენებს ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ორნამენტულ მოტივს — ერთმანეთზე გადაჭდობილ წრეთა ორ უწყვეტ ჯაჭვს. ეს მოტივი პირველად XV ს. ჩნდება და XVII ს. ჩათვლით<sup>6</sup>, უმეტეს შემთხვევაში, კარ-ფანჯრების საპირეების მორთულობად გვხვდება. აქ ეს ორი ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ჩუქურთმა ორმაგი კვანძებითაა გადაბმული (ნახ. 6). ამგვარი დეკორაციული ხერხი, ერთი მონარჩობის სახეობებში რამდენიმე ორნამენტული მოტივის გამოყენება, ქართულ ხუროთმოძღვრებაში XIII ს. კრცელდება და თანდათანობით იკიდებს ფეხს XIV ს. ძეგლებში (საფარა, დაბა)<sup>7</sup>.

ნახევარსვეტთა კონის სწორკუთხა პედესტალზე დაყრდნობილი ფუძე შემკულია „კონებით“, რომლებიც ლილეების რელიეფს მიკვება, ხოლო წნულით შემკული სარტყელი გაჭიმულია. „კონებსა“ და „სარტყელს“ შორის არსებულ მცირე მონაკვეთებზე თითოეული ლილეი პორიზონტალურად სამ ვიწრო ზოლად არის დანაწევრებული. ბურთულები სფერული მოყვანილობისაა. ზემოთ მათ რელიეფს მიმყოფი ზონარი საზღვრავს; ქვემოთ კი — გაჭიმული ორსაფეხურა სარტყელი. კვარცხლბეკი ოდნავ წაგრძელებულია სიმაღლეში. მას ქვედა ნაწილი მოტეხილი აქვს, მაგრამ გადარჩენილი ნაწილი ორნამენტის სრულად წარმოდგენის საშუალებას იძლევა (ნახ. 7 ე). მისი მორთულობა წარმოადგენს თავისთავში ჩაკეტილ უწყვეტ ლენტს, რომელიც ერთმანეთზე გადაჭდობილ ოთხ ნახევარწრეს ქმნის. მასში ჩახლართულია კუთხით დაყურსული კვადრატი, რომელიც ასევე უწყვეტი ლენტითაა შესრულებული კუთხეებში გვერდები სცილდება მათი გადაკვეთის წერტილებს, ებჯინება ჩარჩოს, წრიული მოხაზულობით უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის ერთგვარ ტეხილ კვანძებს. მსგავსი მოტივები ადრეულ ძეგლებზე მხოლოდ წრიული მოყვანილობის ელემენტებისაგან არის შესრულებული. მოგვიანებით ვრცელდება წრიულ ნაწილებში სწორხაზოვანი და კუთხური ფიგურების შერწყმა<sup>8</sup>. მიახლოებით ანალოგიას ჩვენ ზარზმის ჭაძრის დასავლეთის ფასადის მარცხენა სარკმლის ქვედა კუთხეების კვადრატებზე ვპოულობთ. იქ ეს ჩუქურთმა გაცილებით უფრო სრულყოფილია. კვადრატი შექმნილია ოთხი სამკუთხედის ერთმანეთში ჩაწებით, ამავე დროს სამკუთხედთა გვერდები წარმოადგენს ამ წნულის ჩარჩოს (ნახ. 7 დ). აქ კი წნული არაფრით არ უკავშირდება ჩარჩოს, თვით ჩარჩოც დაუნაწევრებელია და თითქმის არავითარ როლს არ ასრულებს მორთულობაში.

ორნამენტული წნულის შემადგენელი ლენტები ორივე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, სარკმელთა საპირეებზე ორი ღარითაა დანაწევრებული, ხოლო ცოკოლს დაბჯენილ კვარცხლბეკზე ლენტები რამდენადმე ფართოა და სამად დაღარული. ორნამენტის კვეთა არსად არაა ღრმა. ზოგ შემთხვევაში კი („კონათა“ შეყვარვი გრებილი სარტყელი) იგი ნაკაწრის დონეზეა შესრულებული.

როგორც აღვნიშნეთ, თავსართისა და იმპოსტების მორთულობა (გარდა გრეხილისა) გამჭრალია ქვის დაშლის შედეგად. იმპოსტებისა და ბაზისების დამაკავში-


ფოტო 1.  
Foto 1.



ფოტო 2.  
Foto 2.








ნახ. 5.

Чертеж 5.

რეპელი ორმაგი ლილვები თავსა და ბოლოში სფერული ბურთულების გარდა კიდევ რა ელემენტებს შეიცავდა, გაურკვეველია.


ორივე ბაზისზე ერთი და იგივე რელიეფური გამოსახულებაა — ვრთებგაშლილ არწივს, en face ბრჭყალებით უპყრია კურდღელი. არწივის თავი ორივე რელიეფიდან გამჭრალია, ხოლო მარცხენა ბაზისზე კურდღელი ჯერ კიდევ გაირჩევა. ეს სიუჟეტი, როგორც ცნობილია, პირველად ხახულის ტაძრის სამხრეთ ფასადზე ჩნდება X საუკუნეში<sup>9</sup>. მოგვიანებით იგი ჩნდება ბაგრატიძის ტაძარშიც და სვეტიცხოველზეც, თუმც, მაინც მსგავსი სიუჟეტები სანხრეთ საქართველოს ძეგლებისათვის უფროა დამახასიათებელი (ოშკი, საფარა). ორივე გამოსახულება აქ საკმაოდ რელიეფურია. ფრინველის ტანი დაუნაწევრებელია, ფრთები მათი მოხაზულობის მიხედვითაა დაღარული და შემდეგ გარდიგარდმო დაყოფილი. რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ორნამენტი და რელიეფები სხვადასხვა ოსტატის მიერაა შექმნილი. ინტერესს იწვევს ამ სიუჟეტის ასე უხვად გამოყენება ამ პატარა, ადგილობრივი მნიშვნელობის ძეგლზე.

2671357 3/4  
282-0190 336



628. 6.

Чертеж 6.



ნახ. 7.

Чертеж 7.

სარკმლის შესამკობად ოსტატი უხვად იყენებს სამხრეთ საქართველოში ადრე შექმნილ და შემდეგ გამარტივებულ ფორმებს, ამავე დროს იგი აშკარად სესხულობს ორნამენტის სახეებს ხობის ძეგლიდან და თავისებურად ართულებს მათ; იყენებს ნახევარსვეტთა კონაზე სარკმლის „შესმის“ საბოლოოდ გამარტივებულ სახეს და ყველა ამ ელემენტთა თავისებური შერწყმის შედეგად დებულობს ხელოვნურად გართულებულსა და, ჩვენი აზრით, სარკმლის აგების საკმაოდ დამძიმებულ სახეს.

ყოველივე ზემოთქმული გვაფიქრებინებს, რომ ძეგლის აგების დრო შეიძლება ზოგადად XIV ს. დასასრულითა და XV ს. დასაწყისით შემოისაზღვროს.

ჩვენი აზრით, ლაბაჯაურის წმინდა გიორგის ეკლესია ტიპური ნიმუშია ქართუ-

ლი ხუროთმოძღვრების იმ დაღმავლობისა, რაც საბოლოოდ გამოიკვეთა XIV ს. შერქურულში. ამ ეპოქის დამახასიათებელი ნიშნებია გეგმის საგრძნობი დამოკლება, მრთულობაში გეომეტრიული სახეების სიჭარბე, ორნამენტთა ერთგვარი სიხისტე, რუქურთმათა დამუშავების დაბალი დონე, სქემატურობა და სხვ. ამ კატაგორიის ნაგებობების მკაფიოდ არის განოსატული ყველა ეს ნიშანი.

<sup>1</sup> ვ. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნები, წიგნი პირველი, ტფილისი, 1907, გვ. 19-20.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 19.

<sup>3</sup> ვ. ბერიძე, საენე. ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942, გვ. 115.

<sup>4</sup> ვ. დოლიძე, სათხის ხუროთმოძღვრული ძეგლი. ქართული ხელოვნება, 7, თბ., 1971, გვ. 155.

<sup>5</sup> გამონაკლისს ეხედებით ზემო იმერეთში, სამხერის რაიონში, ეხვევის ღვთისმშობლის სახელზე აგებულ ტაძრის ფასადებზე. ამ ტაძრის მორთულობათა სიახლოვე ტაო-კლარჯეთის ძეგლებთან დადგენილი აქვს ვ. ბერიძეს (ვ. ბერიძე, ეხვევის ტაძარი „ღვთა ღვთისა“, ქართული ხელოვნება, I, თბ., 1942).

<sup>6</sup> პ. ზაქარაია, ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, თბ., 1956, გვ. 74.

<sup>7</sup> Р. Шмерлинг, Постройка Моларет-Ухуцеса царя Георгия Блистательного в сел. Даба Боржомского района, ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948, გვ. 122.

<sup>8</sup> პ. ზაქარაია, დასახ. ნაშრომი, გვ. 76-77.

<sup>9</sup> ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, თბ., 1955, გვ. 86.



მონადირეობა ადამიანის სამეურნეო-შრომითი საქმიანობისა და საარსებო საშუალებათა მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე უძველესი დარგია. ამასთან ერთად, იგი წარმოადგენს მეურნეობის ისეთ დარგს, რომელმაც საქართველოს ბარსა თუ მთაში საუკუნეთა განმავლობაში გამოიმუშავა მრავალფეროვანი ტრადიციები და სხვადასხვა ფორმით დღემდე შეინარჩუნა გარკვეული სამეურნეო-სამრეწველო მნიშვნელობა (ხორცისა და ბეწვეულის მოპოვება და სხვ.). ამ ტრადიციებისა და მონადირეობის ძველი ფორმების ყოველმხრივი შედარებითი შესწავლის შედეგად შესაძლებელია არა მარტო საზოგადოების განვითარების განვლილი გზების აღდგენა, არამედ ზოგი რაციონალური ელემენტების გამოვლინებაც ნადირობის თანამედროვე წესების გამდიდრებისა და გამრავალფეროვნების თვალსაზრისით.

სვანეთი, როგორც საქართველოს ერთ-ერთი მაღალმთიანი რეგიონი, თავისი ფიზიკურ-გეოგრაფიული მრავალმხრივობითა და მრავალფეროვნებით (განსაკუთრებით ტყეებისა და მთების სიუხვით), საუცხოო პირობებს ქმნიდა, როგორც ცხოველთა ნაირსახეობების არსებობის, ისე მონადირეობის განვითარებისათვის; ხოლო მონადირეობას, შემგროვებლობასთან ერთად, ამ მხარის მკვიდრი მოსახლეობის ეკონომიურ ცხოვრებაში, ისტორიული განვითარების ადრეულ ეტაპზე, წამყვანი ადგილი ეკავა. მართალია, თანამედროვე პირობებში მონადირეობამ, ისევე როგორც სხვაგან, საქართველოს მთაშიც დაკარგა ეკონომიურად წამყვანი მნიშვნელობა და მეურნეობის ერთ-ერთ დამხმარე დარგად გადაიქცა, მაგრამ „...იგი თავისი საუკეთესო ტრადიციებით მაინც არსებობდა და არსებობს ქართველ ტომთა სინამდვილეში“.

წინამდებარე წერილი სვანი მონადირის ჩაცმულობის უმთავრესი ელემენტების მოკლე დახასიათებას ეძღვნება. კვლევის პროცესში გათვალისწინებულია, როგორც ჩვენს მიერ საკუთრივ სვანეთში შეკრებილი საველე ეთნოგრაფიული მასალა, ისე საკითხთან დაკავშირებით არსებული ლიტერატურული ცნობები და ნივთიერი მონაცემები.

ნადირობა სვანეთში გარკვეულ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული. სვანეთის რთული ფიზიკურ-გეოგრაფიული გარემო მონადირეს აიძულებდა გამოემუშავებინა ინდივიდუალური და ჯგუფური ნადირობის ორგანიზაციის სხვადასხვა ფორმები, ძნელად მისაღწომ და გასასვლელ კლდეებზე და ყინულებზე მოხერხებულად გასვლის ოსტატობა და ხელოვნება. ამასთანავე, მონადირეს უხდებოდა შორი გზის გავლა, უემტეს შემთხვევაში ნადირის დევნა საკმაოდ დიდ მანძილზე, შეიძლება ღამის გათევაც კი მთის ისეთ ადგილას, სადაც ცეცხლის დანთება და ადამიანის გაჩერება ზამთარსა, ან წვიმიან ამინდში საერთოდ შეუძლებელი იყო. აქედან გამომდინარე უდიდესი ყურადღება ექცეოდა მონადირის ჩაცმულობას.

მონადირე პირველ ყოვლისა თბილად და კლიმატური პირობების შესაბამისად მსუბუქად უნდა ყოფილიყო ჩაცმული, ხოლო ტანსაცმელი შეხამებული იმ გარემოსთან, სადაც ნადირობა წარმოებდა, კერძოდ მიწისა და კლდის ფერთან. მთხრობელები მიუთითებენ, რომ მონადირე თავისი მოხერხებულობითა და სამოსით ზამთრის

პერიოდში თვით თოვლზედაც კი შეუმჩნეველი უნდა ყოფილიყო ნადირისათვის აღსანიშნავია, რომ როგორც სხვა ქართველ მთიელთა ყოფაში, სანადიროდ სვანეთშიც უმეტესად რუხ ფერს არჩევდნენ, განსაკუთრებით გასაფხულსა და ზაფხულის პერიოდში, ერთ-ერთი რუსი მოგზაურის ცნობით სვანი მონადირე იმ კლდეების ფერის ტანსაცმელს იცვამდა, სადაც ჯიხვი ეგულებოდა<sup>2</sup>.

მონადირეები ფეხზე იცვამდნენ ბანდულს. იგი ქალამნის განსაკუთრებული სახეა, ფეხს ფარავს კოჭებამდე და მზადდება რქოსანი პირუტყვის (ხარის ან ძროხის) ტყავისაგან.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით — „ბანდული ლანჩა—დაწული ფერკ (თ) საცმელია“<sup>3</sup>. ბანდულები სვანეთში ორი სახისაა: ბანდულები, რომელთაც ძირი დაწული აქვთ ტყავისავე წვრილი თასმით — მას „ჯაბურარს ჯაბლარს“ უწოდებენ და ბანდულები, რომელთაც ძირი მთლიანი აქვთ — მას „გვერემს გვერემი ჩაფლარს“, ან „გაბამარს“ ეძახიან. ჯაბლარის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ფერდობზე, ციცაბო კლდეებზე, გამაგრებულ თოვლზე და ყინულზე არ ცურავს. მას წვრილქვიან ადგილებში ნადირობის შემთხვევაში ფეხის მთელ სიგრძეზე უფენდნენ ნაბდის ნაჭერს ე. წ. „ნაგვარს“. ორივე სახის ბანდულებში ჩასაცმელად ხმარობდნენ შალის წინდებს („ბერალ“), ხოლო ზამთრობით შიგ ჩანაფენად მთის ბალახს, ე. წ. „თომს“ (სვან. „წერეჟჟ წერაჟჟ“).

„თომი“ უმთავრესად ალპურ ზონაშია გავრცელებული და როგორც ბ. ნივარაძე აღნიშნავს, „არც ერთი ბალახი ისე თბილად არ ინახავს ფეხს ზამთარში, როგორც თომი და ამიტომაც ყოველს შემოდგომაზე ოჯახი ერთ მარხილ თომს ინახავს ცალკე ამ დანიშნულებისათვის“<sup>4</sup>. როგორც „ჯაბრალ“ ისე „გაბამარ“, მტკიცედ რომ ყოფილიყო ფეხზე და სიარულის (სვლის) დროს არ გახდომოდათ, მას ქუსლის მხარეზე შემოუჭერდნენ საბმელს („ლობარალ“), რომელიც კანაფის ან ტყავისაგან მზადდებოდა. ორივე სახის ქალამანი მსუბუქია და რაც მთავარი მოხერხებული მონადირისათვის.

მონადირეს ნადირობის დროს უხდებოდა ძნელად გასასვლელ ფერდობებზე, კლდეებზე, გადასახტომ ნაპრალეებზე გადასვლა, რაც მას საკმაოდ რთული ამოცანების წინაშე აყენებდა. აქედან გამომდინარე, სვანი მონადირის ჩაცმულობის აუცილებელი კომპონენტი იყო ოთხპეტილიანი ხალხური წრიაპები („წიბარარ“), ხოლო ზამთრის პერიოდში (თუ თოვლი იყო) გაუკვალავ გზაზე სასიარულო-საბიჯებლად განკუთვნილი „თხილმარარ“ (შდრ. სვანურ ტერმინს „თხილმა თხილამ“ თანამედროვე „თხილამური“). ირკვევა, რომ სანამ რკინის წრიაპი ხმარებაში შემოვიდოდა, ადგილობრივი მოსახლეობა და მონადირეები იყენებდნენ თოკის ან ტყავის წვრილი თასმისაგან ბადისებურად გაკეთებულ წრიაპს. მოხრობელები გადმოგვცემენ, რომ გამოყენებული ყოფილა, აგრეთვე, თხილის ხის კანგაცლილი ტოტის, ან იფნის ხისგან დამზადებული რგოლისებური წრიაპებიც. ასეთი წრიაპის დიამეტრი საშუალოდ 30-40 სმ-მდეა და მისი რკალი ბაწრით არის ამოქსოვილი. ასეთი თხილამური თოვლით დაფარულ ადგილებში სიარულის დროს უზრუნველყოფს მონადირეს რომ არ ჩაიფლოს თოვლში. ასევე აქვს იგი განმარტებული სულხან-საბა ორბელიანს: „თხილამური გრკალი არს, ფერკთა დაიკერნენ დიდთა თოვლთა ზედა სავლელად, რათა თოვლთა სიღრმესა (შინა) არა ჩაიჭრან“<sup>5</sup>. საყურადღებოა, რომ თხილამური საქართველოში უძველესი დროიდან ყოფილა გავრცელებული და იგი სასიარულო-საბიჯებელი თხილამურის ფორმის მიხედვით რამდენიმე სახეობად იყოფა<sup>6</sup>.

სვანი მონადირის ჩაცმულობაში მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებდა წვივ-ზე წამოსაცმელი შალის („კვილი“) პაიჭები („ზეთაგარა“), რომლებიც წვივზე მუხ-ლის ქვემოთ ნაბდის, ან ტყავის ლვედებით („ნაკვთხარარ“) არის დამაგრებული და ჩვეულებრივ მასში შარვლის ტოტია ჩატანებული. პაიჭები იმითაა საყურადღებო, რომ წვივს იცავს სიცივისა და სისველისაგან, ამასთან საგრძნობლად ამსუბუქებს მონადირის მოძრაობას მთაში. პაიჭებთან ერთად დიდთოვლიანობის დროს მონადირეები ატარებდნენ ხოლმე ე. წ. „მუხლის ჯავშანს“, ანუ შალის სამუხლეებს („ლექ-ვითლარ“).

სვანი მონადირის ტანსაცმლის („ლერეკე“) აუცილებელი ელემენტია თხის, ცხვრის, არჩვისა და ზოგჯერ ვიხვის ბეწვაგუცლევი ტყავისაგან დამზადებული მოკლე და უსახელო სამოსი ქურჭი („ქვირქე“) მას ბეწვი გარეთა მხარეზე აქვს და წინა მხრიდან მთელ სიგრძეზეა გაჭრილი. მონადირე მას უმთავრესად წამოსასხამად, სი-ცივისა და წვიმისაგან თავდაცვის მიზნით ატარებდა. აღსანიშნავია, რომ ტყავის ქურჭის დამზადებისა და მონადირეების გარდა საერთოდ მოსახლეობის მიერ მისი გამოყენების შესახებ საყურადღებო ცნობებია დაცული გაზეთ „ივერიის“ ერთ-ერთ ნომერში გამოქვეყნებულ წერილში: „თხიდან სვანები, ხორცისა და წველის გარდა, ტყავითაც თავისებურად სარგებლობდნენ: სვანი გადასჭრის ტყავს კისერს, მოაკერებს ვიწრო საყულოს მაგიერ ძველი ნაბადის ნაგლეჯს, წინა ფეხების მაგიერ მოაკერებს სახელოებს და ამრიგად სვანის ქურჭი მზად არის. ამ ტყავს სვანი მთელს ზამთარს არ იშორებს და ზოგიერთს ისე უყვარს, რომ თბილ ამინდშიც კი ატარებს“. ქურ-ქთან ერთად მონადირეები ტანზე იცვამდნენ შინაჩსოვი შალის მოკლეკალთებიან ჩოხას („ოსარ“) და შარვალს (სვან. „სახეშირ||შალბარ“), კანაფისაგან დამზადებულ საცკლებს, კერძოდ პერანგს („ფატან“) და ქვედა საცკალს („სგა არშვილ“). თავსაბუ-რავედ იყენებდნენ მოთელილი მატყლისაგან დამზადებულ ქერის (ნაბდის) სვანურ ქედს („ფაყვ“), ზოგჯერ შალის ყაბალახს („ბაშლიყ“).

სვანი მონადირის ჩაცმულობაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თხის, ან ხბოს ტყავისაგან დამზადებული ზურგჩანთა („გუდა||გუდრა“). გუდაში მას („ხალთ“-საც უწოდებდნენ) მონადირეები ალაგებდნენ ხოლმე ორი-სამი დღის საკმარ სურსათ-სანო-ვაგეს, მათ შორის შესაწირავად განკუთვნილ პურებს („ლემშირ“), ბოთლით არაყს („ზედაშ“), სანთელს და სხვ.

სვანი მონადირის ჩაცმულობის აუცილებელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენ-და აგრეთვე, ცხვრის ტყავის ზელთათმანები („შიმბერალ“), შალის ხალათი, ნაბადი წელზე შემოჭერილი ტყავის სარტყელი („ლარტყ“), რომელიც სანადირო აღჭურვი-ლობის სატარებლადაც იყო გამოყენებული და სხვ.

ზემოთ მოტანილი მასალა, ვფიქრობთ ერთგვარ წამოდგენას გვიქმნის სვანი მონადირის ჩაცმულობის ცალკეულ მხარეებზე, იმაზე თუ რა ფუნქციას ასრულებდა და როგორ პასუხობდა ჩაცმულობის ყველა ელემენტი იმ მოთხოვნილებებს, რაც მონადირისა და ნადირობისათვის იყო აუცილებელი გარკვეულ გეოგრაფიულ-კლიმატურ გარემოში (თოვლში, მყინვარებზე, კლდეებსა თუ ტყეში სიარულის დროს და ა. შ.). აღნიშნულს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ სვანი მონადირის ჩაცმულობის მატერიალურ ბაზას უმთავრესად შინამრეწველური საშუალებით მიღებული და დამზადებული შალისა და კანაფის ქსოვილების რამდენიმე სახეობა და ტყავი („ტუფ||გვერე“) წარ-მოადგენდა „უფრო ცხადი გახდება, თუ როგორ რაციონალურად იყო და არის გამო-ყენებული ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ყველა ის შესაძლებლობანი, რაც მონა-

დირეობის განვითარებისა თუ ხელშეწყობისათვისაა აუცილებელი, რომ „ხალხის მიერ საუკუნეთა მანძილზე გამომუშავებული ჩაცმულობის სახეები ატარებენ იმ ემპირიულ ცოდნას, რომელიც ხალხის მიერ არის დაუნჯებული და რომელიც ინტელექტუალურად სიმბოლურად გაგარკვეოთ მოვლენის განვლილი საფეხურები“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ა. რობაქიძე, კოლექტორი ნადირობის ვადმონაშთები რაქაში, თბ., 1941, გვ. 146.

<sup>2</sup> В. Я. Троицков, Сванетия, СМОМПК, вып. X, Тифлис, 1890, стр. 38.

<sup>3</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, წ. 1, თბ., 1966, გვ. 92.

<sup>4</sup> ბ. ნივარაძე, ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, 11, თბ., 1964, გვ. 72.

<sup>5</sup> სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1 გვ. 316.

<sup>6</sup> კ. ასტახიშვილი, მთავსელოების ხალხური ტრადიციები საქართველოში, თბ., 1969, გვ. 65-67; შტრ. თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ. 1954, გვ. 140-141.

<sup>7</sup> მ. მუსეხიძე, წერილი თავისუფალ სვანეთიდან, „ვერიკა“, 1901, № 87.

<sup>8</sup> გ. ჩიტაია, წინასიტყვაობა ივ. ციციშვილის წიგნისა — მასალები ქართული ჩაცმულობის ისტორიისათვის, თბ., 1954, გვ. 5.





## სვანური ხალხური ინსტრუმენტი ჰუნირი

ქართული  
ზიზლიონთქა

სვანურ ხალხურ სიმღერებში, რომლებიც თემატიკის მხრივ სხვადასხვაგვარია — საგმირო-ისტორიული, შრომითი, სანადირო, საქორწილო, საფერხულო — საცეკვაო და საწესო — მრავალფეროვნება შეაქვს სვანურ საკრავებს, რომლებიც, როგორც გამოკვლეულია, უძველეს ქართულ საკრავების რიგს განეკუთვნება. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სვანური ხალხური საკრავები და საკრავიერი მუსიკა დღეს თითქმის მივიწყებულია, ამიტომ ამ საკრავების აღდგენა და დაცვა თითოეული ჩვენთაგანის საპატიო მოვალეობაა.

სვანეთში დღემდე გავრცელებულ საკრავებს შორის აღსანიშნავია ჰუნირი — სამსიმიანი ხემიანი საკრავი, რომელიც ნაწილობრივ აფხაზურ „აფხერცას“ და ჩერქეზულ „აფშერცას“ წააგავს. ჰუნირზე ამჟამად თითქმის აღრავინ უკრავს. მისი მკეთებელი თითო-ოროლადა შემორჩა სვანეთში, ამიტომ ამ საინტერესო საკრავის კეთების წესის აღნუსხვა საშური და სასარგებლო საქმეა.

ჰუნირის ძირითადი ნაწილი „კარვა“ — რეზონატორი ნაძვისგან კეთდებოდა. იგი საყავრე მასალაში უნდა შერჩეულიყო. შერჩეულ მასალას მდულარე წყალში ავლებდნენ, წყლის გაგრილებისთანავე მასალას ცივ წყალში ათავსებდნენ. აქ მას იქამდე სტოვებდნენ ვიდრე დრეკადი არ გახდებოდა. კარვას თავსა და ბოლოში ნახვრეტები უკეთდებოდა, რომელშიაც მოლუნვის შემდეგ თასმა ეყრებოდა თასმით დამაგრებულ კარვას ჩრდილში ამოობდნენ. ჰუნირის „კელს“ — ტარს ცალკე ამზადებდნენ. სატარედ ვერხვს ან არეს იყენებდნენ, სათანადო სიგრძეზე გადაჭრილ სატარე ხეს ოთხად აპობდნენ, რომ გული ამოეღოთ. ტარზე სიმებს გაუკეთებდნენ და კარვის „ტანში“ გაატარებდნენ, შემდეგ კარვაზე ცხერის ან თხის ტყავს აკრავდნენ. იცოდნენ ნედლი ფაშვის გადაკვრაც, რომელსაც გამშრობამდე კარვაზე კანფით ამაგრებდნენ. რეზონატორის ზედაპირი ერთ ადგილზე დახვრეტილია და ზედ დევს ჯორაკი — „ჩაჭ“, რომელზედაც გადაჭიმულია ცხენის ძუისაგან გაკეთებული სამი სიმი. სიმები სხვადასხვანაირად კეთდებოდა. პირველ სიმად 6 ცალი ძუა იგრებოდა, მეორე სიმად 9 ცალი, ხოლო მესამე სიმი 12 გადაგრეხილი ძუისაგან უნდა გაკეთებულიყო.

საკრავის თავზე მოთავსებულია ორი მოქლონი, რომლის საშუალებითაც ხორციელდება სიმების გადაჭიმვა.

ჰუნირის აუცილებელი ატრიბუტია მისი დასაკრავი „კემად“-ი — კემი. იგი შედგება თხილის მოლუნული წნელისა და ზედ გაბმული ცხენის ძუისაგან. კემადი ოდნავ მოხრილ ჯოხს წააგავს. ამგვარად გაკეთებული კემი გასაშრობად „შვილზე“ — კერის თავზე თავსდება.

დაკვრის მომენტში ჰუნირს ვერტიკალურ მდგომარეობაში მარცხენა მუხლზე იდებენ და მარცხენა ხელის თითებით უკრავენ, მარჯვენა ხელში უჭირავთ კემი.

ჰუნირი შეტად ნაზი საკრავია. მასზე ქალებიც უკრავენ და მამაკაცებიც.

ჰუნირს, როგორც წესი, დღეობების დროს უკრავენ სახლში, მაგრამ მელოდია-ინტონაციის მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს მიცვალებულთან ღამის თევის დროს ჰუნირის დაკვრის წესი. ცნობილია, რომ სვანეთში ბოლო დამეებს მიცვალებულს ახლო ნათესავები უთენებდნენ, მაშინ ჰუნირზე დამკვრელი მოხუცი კაცი უკრავდა.

საქართველოს  
საქართველოს



ტუნირი.

ტუნირი.

ლა გარდაცვლილ მახლობელს გაიხსენებს და ტუნირზე დაატირებს (ეს წესი იშვიათად სრულდება) ამ სიმღერიდან მსმენელს ღრმა სულიერი განცდებით აღსავსე შთაბეჭდილება რჩება.

ამრიგად, როგორც აღინიშნა მელოდიის მხრივ ტუნირი მეტად თავისებურია და კვლევებისათვის საინტერესო. ეს არის ადგილობრივ ნიადაგზე აღმოცენებული თვითმყოფადი ქართული კულტურის განვითარების ერთ-ერთი ელემენტი, სახელდობრ, ქართული ხალხური საკრავების განვითარების ერთ-ერთი დამახასიათებელი ტიპი. ეს საინტერესო ხალხური მონაპოვარი, ვფიქრობთ, საგანგებო მოვლა-დაცვას საჭიროებს.



საბრძოლო დიდების ასსახველი ადგილები ქ. თბილისში

საქართველოს დედაქალაქი თბილისი მიეკუთვნება მსოფლიოს უძველეს ქალაქთა რიცხვს. 1958 წელს ქართველმა ხალხმა დიდი ზეიშით აღნიშნა ჩვენი დედაქალაქის 1500 წლისთავი. ძალზე ცოტაა მსოფლიოში ისეთი ქალაქი რომელსაც განეცადოს იმდენი ნგრევა და აოხრება, მოსახლეობის ამოწყვეტა-მოსპობა, რაც თბილისმა განიცადა თავისი არსებობის პერიოდში. სათანადო წყაროების და მასალების მიხედვით თბილისში 26-ჯერ შემოიჭრა მტერი, გაანადგურა, დაანგრია, გაძარცვა, გადასწვა და ამოწყვიტა მოსახლეობა. მარტო XII საუკუნის 25-30-იან წლებში ჯალალედინმა 100 ათასი კაცი ამოხოცა თბილისში. მან ქალაქი მხოლოდ მას შემდეგ დატოვა, როცა დასანგრევი და ამოსაწყვეტი აღარაფერი დარჩა. არის თუ არა საბრძოლო დიდების ადგილები ჩვენს ქალაქში ასახული? რა თქმა უნდა არა. იმ უთვალავი ბრძოლებიდან, რომლებიც ქართველმა ხალხმა გადაიტანა უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ მხოლოდ ერთი — 300 არაგველის გამირული ბრძოლის ადგილია ასახული კრწანისის მიდამოებში (ობელისკის ავტორებია ა. ბაქრაძე და ნ. ჯობაძე).

კრწანისის ბრძოლა, რომელიც 1795 წელს გამართა სპარსეთის შახმა ალა-მამად ხანმა უალრესად დიდი ტრაგედია იყო მთელი ქართველი ხალხისათვის, განსაკუთრებით კი თბილისელებისათვის, იქვე, ობელისკთან ახლოს, არის გაკეთებული ვერტოფოდებული მანაბლის, ანუ თბილისელთა კედელი, იმ მებრძოლი ჯგუფის საპატივსაცემოდ, რომლებმაც თავისი სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს ამ ბრძოლაში. (ავტორი ა. ბაქრაძე). დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს, რომ გარდა ამისა სხვა თითქმის არაფერი გვაქვს ასახული იმ უთვალავ ბრძოლებიდან, რაც გადაიტანა თბილისმა წარსულში. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის დიდ სამამულო ომს ფაშისტურ გერმანიასთან და იმპერიალისტურ იაპონიასთან, ამ ბრძოლებში დიდი და აუნაზღაურებელი წვლილი გაიღო საქართველომ, მისმა დედაქალაქმა თბილისმა, როგორც ცოცხალი ძალით ისე საბრძოლო ტექნიკით. მრავალი თბილისელი ვეღარ დაუბრუნდა თავის საყვარელ ქალაქს. აუცილებელი და საჭიროა ამ მიმართულებით გაკეთდეს გაცილებით მეტი ვიდრე გაკეთებულია, ყველასათვის ცხადია, რომ სამამულო ომი იყო სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლა ვერაღ მტერთან. ეს იყო ჩვენი ქვეყნისათვის უმძიმესი გამოცდა, რომელსაც მედგრად გაუძლო საბჭოთა ხალხმა. დაამარცხა უძლიერესი და სასტიკი მოწინააღმდეგე და გამარჯვებული გამოვიდა ამ არნახული უდიდესი ბრძოლიდან, რომლის შედეგებს არასოდეს დაივიწყებს საბჭოთა ხალხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრენენვი 1967 წლის 17 ოქტომბერს, როდესაც საზეიმოდ გაიხსნა სტალინგრადის გამირული ბრძოლების ძეგლი — ანსამბლი ლევენდარული მამის ყორღანზე აღნიშნავდა:

„გაივლის წლები და ათწლეულები. ჩვენ შეგვეცლიან ადამიანთა ახალი თაობები. მაგრამ აქ, გამარჯვების დიდებული მონუმენტის კვარცხლბეკთან, მოვლენ ხოლმე გმირთა შვილები და შვილთაშვილები. აქ მოიტანენ ყვავილებს და მოიყვანენ ბავშვებს. აქ, წარსულზე ფიქრისა და მომავალზე ოცნების დროს, ადამიანები მოიგონებენ იმათ, ვინც დაიღუპა სიცოცხლის მარადიული ცეცხლის დასაცავად“.

უნდა ითქვას, რომ საბრძოლო დიდების ადგილების მოწყობას დიდ ყურადღებას უთმობს ჩვენი კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მთელი ჩვენი საჭოთა ხალხი. მათ კეთილმოწყობას უალრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მომავალი თაობის

სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის. შესანიშნავი ინიციატივა და ღონისძიება იყო, რომ საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლის-თავზე უცნობი ჯარისკაცის ნეშტი ჩამოსავენეს გმირ ქალაქ ქერჩიდან, რომელიც დაკრძალული იყო აჯიმუშკაის რაიონის ქვის სამტებლოებში გათხრილ ერთ-ერთ ძმათა სასაფლაოზე. უცნობი ჯარისკაცის ნეშტი თბილისში ჩამოსვენა საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი, საბჭოთა კავშირის ომის ვეტერანთა თბილისის სექციის თავმჯდომარე, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვ. ჯანჯავა.

თბილისამდე მთელ გზაზე გაიმართა საზეიმო-სამგლოვიარო მიტინგები ლესელიძეში, სოხუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, გორში.

უცნობი ჯარისკაცის კუბოსთან მოდიოდნენ ქალბატონები და მამაკაცები, რომლებმაც შეიღებინა დაკარგეს ომში, შვილები რომლებსაც დღემდე არ დაიწვივებიათ ფრონტზე წასულ მამასთან გამომშვიდობების წუთები.

ყველას ვინც ფრონტზე ნათესავი ან ახლობელი დაკარგა და არ იცის მისი საფლავი, შეუძლია სამართლიანად ჩათვალოს უცნობი ჯარისკაცი თავის მამად და ძმად, თავის შვილად ან მეუღლედ. შენი სახელი უტკნობია, მაგრამ გმირობა შენი უკვდავია. შენი დიდება არ წაიშლება საუკუნეთა მანძილზე.

ღრმად სიბოლურია, რომ უცნობი ჯარისკაცის ნეშტი მშობელ მიწას მიაბარეს სწორედ გამარჯვების 30-ე წლისთავის საყოველთაო-სახალხო დელეგაციის დღეს. ვერ გავიმარჯვებდით, გმირულად რომ არ ებრძოლათ ამ ჯარისკაცს და მილიონობით კიდევ სხვას, რომელთაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს.

... არაუადრე იცის ოდესმე გაუვლია თუ არა უცნობ ჯარისკაცს რუსთაველის პროსპექტზე, მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ მან სისხლი დაღვარა და სიცოცხლე შესწირა სამშობლოს. ქერჩთან, მცირე მიწაზე გადიოდა ის გზები, რომლებითაც საბჭოთა მეთორბეი მივიდნენ ბერლინამდე და გამარჯვების დროსა აღმართეს დამხობილ რაიხსტაგზე.

აქ გამარჯვების პარკის მიდამოში ბუნების წიაღში შემკული ადგილი, სადაც განისვენებს უცნობი ჯარისკაცი, გახდა სამხედრო პატრიოტული აღზრდის მძლავრ კერად აქ მოდიან ომის ვეტერანები და საბჭოთა არმიის კადრის შემადგენლობა. კომკავშირელები და პიონერები, მშრომელები. აქ მუდამ ხალხმრავლობაა. ეწყობა მიტინგები, პიონერთა ხაზი, საზეიმო ვალდებულებების აღება და სხვა.

ქ. თბილისში, ლესელიძის ქუჩაზე, სკვერში აღმართულია გამოჩენილი მხედართმთავრის საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკის კონსტანტინე ნიკოლოზის ძე ლესელიძის ძეგლი (ძეგლის ავტორია ი. ნიკოლაძე). საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დროს იგი სარდლობდა მე-18 არმიას, რომელმაც ბრწყინვალე ფურცლები ჩაწერა სამამულო ომის ისტორიაში. მე-18 არმია იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში, მძიმე ბრძოლები გადაიტანა ნოვოროსიისკის მცირე მიწის განთავისუფლებისათვის.

საკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი, რომელიც ომის დროს მე-18 არმიის პოლიტგანყოფილების უფროსი იყო ერთ-ერთ პატაკში ასე ახასიათებდა კ. ლესელიძეს, როგორც დიდ მხედართმთავარს და ორგანიზატორს: "გმირობა დამკვიდრდა ჩვენს ჯარებში და ადამიანთა უმრავლესობის განუყრელი თვისება გახდა, იგი ყოველდღიურად ვლინდება ბრძოლაშიც და მშვიდობიანობის დროსაც. ეს მოვლენა განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა მცირე მიწაზე. აქ თითქმის ყოველი კაცი გმირია".



უცნობი ჭარისკაცის საფლავი გამარჯვების პარკში.

Могилა неизвестного солдата в парке Победы.

ქ. თბილისში, ავჭალის გზატკეცილზე, კინო-თეატრ საქართველოსთან სკვერში აღმართულია საბჭოთა კავშირის გმირის გენერალ-პოლკოვნიკის, გამორჩენილი მხედართმთავრის პორფილე გიორგის ძე ჩანჩიბაძის ბიუსტი. პ. ჩანჩიბაძე ხელმძღვანელობდა სამამულო ომის პერიოდში ისეთ სერიოზულ შენაერთებს, როგორც იყო დივიზია, კორპუსი და არმია. მან დიდი წვლილი შეიტანა ჩვენი ქვეყნის გამარჯვების საქმეში. მისი მოღვაწეობა გაშუქებულია სამამულო ომის ისტორიაში, ბროსურებში და წიგნებში. მისი ცხოვრების განვლილი გზა ძვირფასი მაგალითია ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

ქ. თბილისში ოქტომბრის ქუჩაზე ვ. კიკვიძის სახელობის ბაღში აღმართულია სამოქალაქო ომის გმირის ვასილ კიკვიძის ბიუსტი (ავტორი ბ. სახვაძე). მძიმე დღეებში, როდესაც 14 კაპიტალისტური ქვეყანა უტყვედა ახალგაზრდა საბჭოთა ხელიანუფლებას, ვასილ კიკვიძე სათავეში ედგა დივიზიას და თავისი გამბედაობით სასწაულებს ახდენდა ფრონტზე. კიკვიძის ხსენება შიშის ზარს სცემდა თეთრგვარდიელთა გენერლებს. მან ძალზე ბევრი შესანიშნავი საქმეები გააკეთა ბრძოლებში ჩვენი ქვეყნის გამარჯვებისათვის;

იშვიათად მოიძებნება ისეთი საშუალო სკოლა, სადაც არ იყო მოწყობილი გამოფენა დიდი სამამულო ომის შესახებ; მაგ. ოქტომბრის რაიონში 37-ე საშუალო სკოლაში მოწყობილმა გამოფენამ თვით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის ყურადღება დაიმსახურა. სამამულო ომის თემას დიდი ადგილი აქვს დათმობილი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის მუზეუმში (გაიხსნა 1975 წელს) და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლთან არსებულ საბრძოლო დიდების მუზეუმში. საბრძოლო დიდების ადგილები ემსახურება ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტულ და ინტერნაციონალურ აღზრდას.



სურ. 1.

სოფ. ზედა წევის ეკლესია.

Фото 1.

Церковь с. Зета Цева.

## ჯამლეთ ჯღაპანია

### სოფ. ზედა წევის ეკლესიის ერთი უცნობი ეპიგრაფიკული


#### წარწერის შესახებ\*

სოფ. ზედა წევაში (ზესტაფონის რაიონი) მდებარეობს წმინდა გიორგის სახელზე ნაგები XI საუკუნის ეკლესია, რომელიც 1863 წელს გადაუკეთებიათ (სურ. 1). ეკლესიაში შემორჩენილია XVI — XVII საუკუნეების მოხატულობა<sup>1</sup>.

ეკლესიის აფსიდის მარცხენა ნახევარსვეტზე იატაკის დონიდან 13 მეტრის სიმაღლეზე, ქვიშაქვის კვადრზე, ამოკვეთილია სამსტრიქონიანი წარწერა. წარწერა შესრულებულია ასომთავრული მრგვლოვანით, ასო ბ-ანის გარდა, რომელიც ნუსხურია. ასოთა უმრავლესობა სტილიზებულია. საერთოდ, წარწერა კარგ დონეზეა შესრულებული, რაშიც იგრძნობა — გაწაფული ოსტატის ხელი წარწერა ასე იკითხება: „კრა ზიბზიბაძემ შურე კრმტის ფასი ოცი მნათი ღო-ახნე“.

\* აღნიშნულ წარწერის შესახებ ცნობა მოგვანოლა და შეგზურაბა გაგიქნია ამ სოფლის მკვლევარმა, ამჟამად ევრნ. „მართვეს“ რედაქტორის მოადგილემ თენგიზ გახეშილაძემ, რისთვისაც მადლობას მოვახსენებთ.

<sup>1</sup> საქართველოს სსრ კულტურის ჯგუფი, 1959, გვ. 58.



სურ. 2.  
ეპიგრაფიკული წარწერა.

Фото 2.  
Эпиграфическая надпись.

ქარავმების გახსნით იქნება: კვირია ზიმბიბაძემ შევწირე კრამიტის ფასი ოცი მინალთუნი ღმერთო აცხონე. ამრიგად, ირკვევა, რომ უინმე კვირია ზიმბიბაძეს (ეს გვარი მახლობელ სოფ. სანახშირუდანაა) ეკლესიისათვის გაუწევია გარკვეული სამსახური, რისთვისაც მისი ცნობაა ამ წარწერაში გამოთხოვილი.

ზედა წევის ეკლესიის აღნიშნული ლაპიდალური წარწერა რიგი ნიშნების მიხედვით ეკუთვნის გვიანშუასაუკუნეების მიწურულს. იგი მნიშვნელოვანია, როგორც გვიანფეოდალური ხანის ქართული ეპიგრაფიკული დიპლომატიკის საყურადღებო ძეგლი.

**სამეცნიერო კონფერენცია ელექტრომექანიკაში ქარხანაში**

1977 წლის 21 ნოემბერს ელექტრომექანიკურ ქარხანაში ქუთაისის ელტერის ჰეგლთა დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოსა და ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული კომიტეტების და ადგილობრივი პირველადი ორგანიზაციის საბჭოს ინიციატივით ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიემდგვნა ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა აბ. ზ. ზვიფიამ.

ქუთაისის ელტერის ჰეგლთა დაცვის საზოგადოების საქალაქო საბჭოს თავმჯდომარის, მეზუემის დირექტორის, დოც. მ. ნიკოლეიშვილის მოხსენება მიეძღვნა ისტორიისა და ელტერის ჰეგლების დაცვის ახალ კანონს. მან აღნიშნა, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციამდე და მის შემდეგაც სამოქალაქო ომის პრისხანე დღეებში ვ. ა. ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა მატერიალური ელტერის ჰეგლების დაცვის საქმეს. ამ მიზნით საბჭოთა სახელმწიფო ყოველწლიურად ხარჯავდა და ახლაც ხარჯავს დიდძალ სახსრებს. ელტერის ჰეგლთა დაცვის საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ჰეგლთა დაცვის საზოგადოება, მაგრამ ამ მიმართულებით ჭერ კიდევ ბევრი პრობლემა დგას დღის წესრიგში. ზოგიერთი ჰეგლი მეთვალყურეობის გაგრძელება დარჩენილი, ნელი ტემპით მიმდინარეობს აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები, არ ექცევა სათანადო ყურადღება სარეკლამო საკითხს და სხვ. შემდეგ მოამხსენებელი ამბობს, რომ აუცილებელია ქუთაისისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა, მწიანეყავილას ისტორიული ჰეგლების გამაგრებითი სამუშაოე-

ბის ჩატარება, ჰეგლი არქიტექტურული, ისტორიული, ყოფითი და ელტერულ-მატერული ღირებულების შეწონე შენობებისა და ცალკეული უბნების დაცვა.

ახალი კანონი ისტორიისა და ელტერის ჰეგლთა დაცვის შესახებ ქმნის დიდ შესაძლებლობას ჰეგლთა დაცვის საქმეში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისა და მისი როლის მნიშვნელოვნად გაზრდისათვის, რადგან ამ კანონით საქმე ეხება იმ ჰეგლების მოვლა-პატრონობას, რომლებიც აქამდე სახელმწიფო დაცვას არ ექვემდებარებოდა. ახალი კანონი ზრდის პასუხისმგებლობას საწარმოთა და კერძო მფლობელთა სარგებლობაში მყოფი ჰეგლების დაცვის შესახებ. ახალი კანონით შესაძლებელია თუ საწარმო ან მოქალაქე ვერ უზრუნველყოფს მათ მფლობელობაში არსებული ჰეგლების დაცვასა და გამოყენების წესებს მაშინ მას ჰეგლი ჩამოერთმევა სასაპართლო წესით.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 68-ე მუხლში ნათქვამია, რომ ისტორიული ჰეგლებისა და სხვა ელტერულ ღირებულებათა შენარჩუნებისათვის ზრუნვა სსრ კავშირის მოქალაქეთა ვალი და მოვალეობაა. ექვს გარეშეა, რომ ჩვენი ქვეყნის ძირითადი კანონის ეს მოთხოვნა ხელს შეუწყობს ისტორიისა და ელტერის ჰეგლების დაცვის საქმეს.

საქ. ელტერის სამინისტროს სპეციალური სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნოს პირველი უბნის უფროსის ინჟინერ გ. ასათიანის მოხსენებაში ყურადღება იყო გამაგრებითი სამუშაოებისა და მისი შემოგარენის ელტერის ჰეგლთა აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბაგრატის ტაძრის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები დაიწყო 1952 წელს, ხოლო დამთავრდა 1977 წელს. ამჟამად მიმდინარეობს ტაძრის დასავლეთ კარიბჭის სარე-





სამეცნიერო კონფერენცია ქუთაისის  
ელექტრო-მექანიკურ ქარხანაში (ვედო-  
რის ფოტო).

Научная конференция в электро-  
механическом заводе в г. Кутаиси.  
(фото автора).



სტერაციო პროექტის დამუშავება, რომლის მიხედვითაც უნდა აღსდგეს იგი. ამის შემდეგ დაიწება ბაგრატი ტაძრის ტერიტორიის განთავისუფლება მობინადრეებისაგან და მისი კეთილმოწყობა.

მნიშვნელოვანი აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოებია ჩატარებული გელათის მონასტერში: შეკეთებულია სამრეკლო, მთავარ ტაძარზე გარშემოვლებულია ქვაფენილი, გამოცვლილია სახურავი, გაკეთებულია სამრეკლოსთან ჩასასვლელი კიბე, ტაძრის გასწვრივ დასავლეთის მხარეზე დაგებულია ქვის იატაკი, პირვანდელი სახე აქვს დაბრუნებული მთავარ შესასვლელს, წმ. გიორგის ეკლესიაზე ჩამოკლებულია შემდეგდროინდელი მინაშენი, გამაგრებულია ისტორიული გალავანი და სხვ.

ასევე დიდი აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოებია ჩატარებული გვეთოს ციხე-დარბაზზეც. ამ მხარე შეიძლება ითქვას, რომ იგი მთლიანად აღმთავრებულია.

ამ. გ. ასათიანმა მოხსენებაში უხვად გამოიყენა საბუნებისმეტყველო მასალა, რითაც კიდევ უფრო დააინტერესა მსმენელი.

უაღრესად საინტერესო იყო პედისტიკტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანის დოც. პ. ვაჭარიძის მოხსენება ქუთაისის ისტორიულ რევოლუციური ადგილების შესახებ. მომხსენებელმა ილაპარაკა ქუთაისის რევოლუციური წარსულზე და შემდეგ დაწვრილებით მიმოიხილა ქალაქში არსებული ისტორიულ-რევოლუციური ადგილები, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება დავთმო ჩსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის არალეგალური სტამბის ყოფილ შენობას და მამათა სასაფლაოს. მან იქვა, რომ დღევანდელი თავისუფლების (ძველი ლავრის) ქუჩაზე მიწისშრომელ გ. გოგილაძის ბინაზე მ. ცხაკაიას და ალ. წულუკიძის ხელმძღვანელობით მოეწყო ჩსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის არალეგალური სტამბა, რომელშიც იბეჭდებოდა იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის პროკლამაციები, საავტაციო ფურცლები და სხვ. მართალია ამ სტამბამ დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ მაინც შესარტულა მნიშვნელოვანი როლი რევოლუციური ლიტერატურის ბეჭდვისა და გავრცელების საქმეში. შემდეგ იგი ლაპარაკობს მამათა სასაფლაოს შესახებ და აღნიშნავს, რომ ნინოშვილის (ყოფილი მეთეთოს) ქუჩაზე ე. წ. «ლელაძისეულ» მინდორში, ქუთაისის რევოლუციური გადარჩეულ ადგილებს, უნდა აღინიშნოს მამათა სასაფლაო, იგი შემოიღობა თეთრი ქვის გალავნით, შიგ გაშენდა ლამაზი ბაღი და დაიდგა ობელისკი. ამგანა დასახელებულ ადგილებზე მონუმენტური მემორიალია დაგებული.

ქუთაისში დაცული ისტორიულ-რევოლუციური ადგილები ჩვენი ხალხის რევოლუციური წარსულის უტყუარი მოწმენი არიან და მათ თვალისწინებით გაფრთხილება ესაჭიროებათ. მსმენელებმა დიდი ინტერესით მოისმინეს ისტორიკოს ღ. ხანანაშვილის მოხსენება ქუთაისის მემორიალური ძეგლების გამოვლინების საკითხებზეც. ამ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ქუთაისში დღემდე უცნობია თუ სად, რომელ ბინაში უხდებოდათ ყოფნა ჩვენი ერის გამორჩენილ აღაპიანებს: ა. წერეთელს, გ. ტაბიძეს, ტ. ტაბიძეს, ვ. მაიაკოვსკოს, ღ. შესხიშვილს ვ. აბაშიძეს, მ. ბალანჩიძეს, ზ. ფალიაშვილს, შ. დადიანს და სხვებს.

მემორიალური ძეგლების გამოსავლიანებად და შესასწავლად საჭიროა სათანადო გეგმის შედგენა და მუშაობის ორგანიზებულად წარმართვა. ელექტრომექანიკური ქარხანაში ჩატარებულმა სამეცნიერო კონფერენციამ მსმენელთა ყურადღება მიაკერო იმას, რომ ყველა საბჭოთა მოქალაქე მოვალე და ვალდებულია დაიცეს და გაუფრთხილდეს ისტორიასა და კულტურის ძეგლებს.

კონფერენციის დასასრულს პარტიული კომიტეტის მდივანმა ამბ. ზ. ხეიჩიამ საქ. კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტის საპატიო სიგელი გადასცა ელექტრომექანიკური ქარხნის კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პირველადი ორგანიზაციის საბჭოს ყოფილ თავმჯდომარეს ამბ. გ. მინდიაშვილს, კულტურის ძეგლთა დაცვის საქმეში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის.

ი. შ. ხეიჩიაძე.



## АННОТАЦИИ

На страницах сборника публикуется постановление Центрального Комитета Компартии Грузии «О положении в республике охраны — использования памятников истории, культуры и природы и мерах по улучшению этого дела», в котором говорится что в деле охраны памятников истории, культуры и природы мы должны руководствоваться Ленинским учением о социалистической культуре, решения-

ми XXV съезда ЦК КПСС, государственным законом СССР «Об охране и использовании памятников истории и культуры», Конституцией СССР, директивами партии и правительства, указаниями генерального секретаря ЦК КПСС Л. И. Брежнева о возрастной роли идейно-эстетического, патристического и интернационального воспитания, в стране победившего социализма.

Р. РАМИШВИЛИ

## ГОРОДИЩЕ ЖИНВАЛИ

Более шести лет Жинвальская комплексная археологическая экспедиция ведет исследования в зоне строительства Жинвальского гидрокомплекса. За эти годы выявлено и изучено множество археологических памятников, хронологический диапазон которых колеблется от палеолита до позднего средневековья. Среди этих памятников особое внимание привлекает средневековое городище Жинвали.

Жинвали, возникший в предгорье Кавказского хребта у стыка горных и низменных районов, как значительный экономический и стратегический пункт, контролирующий большие дороги, идущие на Север (через Крестовый и Датвский перевалы), дает

значительный материал для изучения многих вопросов истории Грузии, в том числе, для выяснения некоторых вопросов процесса урбанизации в средние века.

Раскопки городища, могильника, отдельных участков феодального города, а также сельского микрорайона Жинвали, дают возможность проследить некоторые вопросы градостроительства, экономики, социальной структуры города и взаимоотношений с горными районами Мтиулет и Пхови.

В статье затронуты также вопросы охраны и эвакуации некоторых памятников старины из зоны затопления.

## ЖИНВАЛЬСКИЙ СВОДЧАТЫЙ СКЛЕП



Жинвальская археологическая экспедиция Центра археологических исследований Института истории, археологии и этнографии имени П. А. Джавахишвили с 1971 года раскапывает Жинвальский могильник «Накалвакари».

Изучено более 500 погребений, среди которых встречаются грунтовые погребения, погребения в каменных ящиках, погребения с возведенными стенами и склепы.

Большой интерес представляют фамильные или семенные склепы, которые являются большими подземными сооружениями.

Среди них заслуживает внимания склеп раскопанный в 1973 году и расположенный в северной части могильника на левом берегу Пшавского Арагви. Склеп был обнаружен и частично разграблен в 30-х годах нашего столетия строителями хевсуретской дороги.

Несмотря на это, в погребальной камере склепа, где было зафиксировано до шестидесяти перемешанных скелетов, обнаружены стеклянные, железные, бронзовые, серебряные и костяные украшения и предметы быта. Найден довольно интересный клад из серебряных монет. Среди них — шесть чеканено именем царицы Русудан в 1230 году (одна — полудирем), четыре грузино-хулагуидских, чеканеных в Грузии в 80-х годах XIII столетия, одна — сельджука Рума (Малая Азия) XIII в.

Е. ДЖАНДИЕРИ

## ПЛАНИРОВКА И СТРОИТЕЛЬНАЯ ТЕХНИКА БЕЗОГРАДНОГО ПОСЕ- ЛЕНИЯ «ДОГОРОДСКОГО» ВРЕМЕНИ (IX — X ВВ.) НА ТЕРРИТОРИИ АХАЛКАЛАКИ ДЖАВАХЕТ- СКОМ

В настоящем очерке дан краткий археологический анализ раскопанных частей на территории Ахалкалакского городища. Среди руин города-крепости,

Склеп имеет прямоугольную форму. С западной стороны, около юго-западного угла была устроена лестница с шестью ступеньками различной ширины. Внутри склепа, вдоль трех стен была устроена каменная тахта, в середине которой прямоугольная камера для захоронений. В южной стене находится три маленькие ниши. Свод склепа имеет стрельчатую форму и изнутри и снаружи обмазана известковым раствором.

В кладке стен и свода использованы скальные камни кубической, уплощенно-прямоугольной формы среднего размера, которые скреплены известковым раствором. В кладке также встречаются булыжные камни.

Внутренняя длина склепа — 6 м, ширина — 4 м. Длина камеры для захоронений — 5,16 м, ширина — 2,45 м, глубина — 0,90 м. Высота от свода до основания камеры — 3,20 м.

По обнаруженному в склепе инвентарю и, особенно по монетам царицы Русудан, выявленным в нижних слоях, время сооружения склепа можно предположительно отнести к первой половине XIII века.

Не исключено, что склеп являлся семейной усыпальницей правителя города-крепости Жинвали.

Склеп пока является единственным из раскопанных в Грузии памятников этого типа и времени, и поэтому, желательно его перенести из зоны будущего водохранилища.

именуемой «Новгородом» с 40-х гг. XI вв., удалось выявить более древние сооружения IX-X вв., относящиеся к обширному поселению без ог-

рады и, видимо, существовавшего задолго до его преобразования в укрепленный тип города, описанного оградой.

Удалось также определить принцип планировки и расположения некоторых частей жилых и хозяйственных комплексов безградного поселения. Изучена строительная техника: способы обработки камня вулканической породы (базальта) и система кладки стен, характерная для сооружений раннего средневековья. Датировке древних сооружений IX-X вв., способствуют конструктивные свойства и кладка стен, а также стратиграфическое соотношение раскопанных частей с прилегающим к ним археологическим материалом.

Из анализа раскопанных частей явствует, что в сооружениях — I, II, III, IV (на сев.-зап. стороне городища, в р-не церкви) низкие части стен построены т. н. «псевдоциклопической» т. е. смешанной кладкой: здесь замечается соотношение вертикально расположенных больших, грубоотесанных камней с горизонтальной системой кладки, щели заделаны мелким щебнем.

Жилищно-хозяйственный комплекс безградного поселения (IX—X вв.) прост и тесен, состоит из 1—2х помещений. На глинобитном полу, иной раз и, на дне аннулированных зернохранилищ ям, найдена типичная домашняя утварь местного керамического производства IX — X вв.: боль-

шей частью — простая кухонная керамика, частично расписные и лощеные глиняные чаши; в малом количестве появляются чаши, расписанные ангобом, покрытые красноватой глазурью, синие стеклянные браслеты (в разрезе треугольного типа). Найдены византийские медные монеты X в. времен Иоана Цимисха, утверждающие тесные контакты Грузинского царства с внешнеполитическим миром, а также указывающие на важные торгово-экономические пути через Джавахетию.

Идеологической опорой населению того времени служила церковь крестовидного плана, среди руин которой найдены некоторые архитектурные детали (базы, карнизы) с изображением трилистника переплетенного с геометрическим орнаментом. Эти детали VI—VII вв., возможно, даже использованы при первом строительстве церкви в IX-X вв.

С возрастанием экономической мощи старого поселения, — во времена царствования Баграта IV, в 1044 — 1045 гг. уже строится Ахалкалакская ограда. После этого, безградное раннее поселение IX—X вв., превращается в город-крепость. С тех пор, древние «псевдоциклопические» стены включаются в ансамбль общего планирования городских кварталов, тем самым приобретает новое значение в системе строительства среднефеодального города, среди конструктивных особенностей зданий XI—XIII вв.

Н. УГРЕЛИДЗЕ.

### КУХЕТ-РУСТАВСКОЕ ГОРОДИЩЕ

Новый социалистический Рустави основан на развалинах древнего городища. Археологические раскопки городища начались в связи с его строительством в 1944 году. Работы экспедиции Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили Академии наук Грузинской ССР под руководством Г. А. Ломтадзе велись как на городище, так и на крепости.

Из грузинских исторических источников известно, что уже в ранне-среднефеодальную эпоху Рустави стал центром Саариставо, области Кухети, а в V веке здесь была учреждена епископская кафедра.

Начиная с раннего средневековья до 1265 г., т. е. до разорения Рустави монголами, город-крепость принимал активное участие в политической

и экономической жизни страны. Рустави преграждал с юго-востока подступы к столице, контролировал один из важнейших для Грузии путей Кисмо Каргли — Кахети — Азербайджан — Тбилиси.

Раскопки на крепости выявили три периода строительства крепостной стены:

1. Раннефеодальная эпоха (IV — V века) крепостная стена с пилонами и четырехугольными башнями;
2. (IX-X века) с полукруглыми башнями;
3. (XII век) на известковом растворе ломаных камней.

Раскопки показали взаимоотношения этих крепостей. На крепости было обнаружено и частично раскопано дворцовое сооружение средней феодальной эпохи (XII-XIII вв.).

## ЦЕРКОВЬ СЯГО ГЕОРГИЯ В с. ИСРТИ



В статье рассматривается один из малоизвестных памятников грузинского зодчества, расположенный в селе Исрти Ванского района, в ущелье реки Сулори. Это небольшая простая зальная церковь с прямоугольным в плане внутренним пространством, завершающимся полудиркульной абсидой, по обеим сторонам которой выделены ниши.

Автор настоящей статьи в результате сравнительного анализа декоративного убранства церкви датирует памятник концом XIV и началом XV веков.

Впервые описание церкви было опубликовано академиком Е. Такашвили, он посетил ее в начале XX столетия.

### III. ШУКВАНИ

#### ОДЕЯНИЕ СЯНСКОГО ОХОТНИКА

Охотничество в Грузии является одним из древнейших видов хозяйственной деятельности человека. Здесь, как в низменных, так и в горных районах, охотничество на протяжении веков выработало ряд разнообразных и специфических традиций и по сей день сохраняет хозяйственно-промысловое значение. Для разработки современных правил и методов охотничества, так

же как и для полного, всестороннего и научного изучения пути, пройденного обществом, необходимо изучение традиций и старых форм охотничества.

В настоящей статье дано краткое описание одеяния сванского охотника — его платья, обуви и дополнительных, подсобных принадлежностей одежды в период зимней и летней охоты.

### С. ЧАНТУРИШВИЛИ

#### СЯНСКИЙ НАРОДНЫЙ ИНСТРУМЕНТ «ЧУНИРИ»

В Сванетии сохранились оригинальные образцы музыкальных народных инструментов, среди которых особое место занимает чунири. Этот инструмент в свое время являлся предметом необходимости каждой семьи. Им пользовались не только во время праздников, но и при оплакивании покойника.

В настоящее время чунири встречается в некоторых семьях Сванетии. Техника изготовления его и способы

использования являются показателями богатых традиций, которые передавались из поколения в поколение. Своим образом структуры чунири диктуется национальными особенностями музыкального искусства грузинского народа.

В результате изучения чунири автор статьи выявил этнографическое значение этого инструмента и установил его древнейшее происхождение.

**МЕСТА БОЕВОЙ СЛАВЫ  
В г. ТБИЛИСИ**



Автор статьи вкратце вспоминает бои, прошедшие за более чем 1500 лет существования г. Тбилиси.

К сожалению, отмечает он, лишь некоторые из них отмечены в городе

памятниками славы и мемориальными досками.

И рассказывает об истории создания некоторых из них.

Дж. ДЖГАМАЯ

**ОДНА НЕИЗВЕСТНАЯ ЭПИГРАФИ-  
ЧЕСКАЯ НАДПИСЬ ЦЕРКВИ  
СЕЛА ЗЕДА ЦЕВА**

В статье рассмотрена лапидарная надпись в церкви села Зеда Цева, выполненная древнегрузинским письмом — асомтаврули.

В ней говорится, что Квириц Зиб-

зибадзе пожертвовал двадцать минал-тунов для приобретения черенци.

Надпись датируется концом позднего средневековья и имеет значение, как памятник грузинского эпиграфической дипломатики.

И. ГВЕТАДЗЕ

**НАУЧНАЯ КОНФЕРЕНЦИЯ В  
ЭЛЕКТРОМЕХАНИЧЕСКОМ ЗАВОДЕ**

21 ноября 1977 года в Кутанском электромеханическом заводе по инициативе Городского Совета Общества охраны памятников культуры и партийного, профсоюзного и комсомоль-

ского комитетов, а так же местного совета первичной организации завода была проведена научная конференция, посвященная 60 летию Великой Октябрьской революции.

ს ა რ ჩ ე ვ ი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „რესპუბლიკაში ისტორიის, კულტურისა და ბუნების ძეგლების დაცვა-გამოყენების მდგომარეობისა და ამ საქმის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ . . . . .	5
რამონ რამიშვილი — ნაქალაქარი ენეალი . . . . .	11
ბესარიონ ჯორჯანიძე — ენეალის კამაროვანი აკლდამა . . . . .	19
პას ჯანდიერი — უზღუდო ქალაქის გეგმარება და მშენებლობის წესი ადრეუფოდალური ხანის ქავახეთის ახალქალაქში . . . . .	23
ენიო უბრაღიძე — ეზეთის რუსთაყის ციხე-ქალაქი . . . . .	35
პურაშ შიფინანი — წმ. გიორგის ეკლესია სოფ. ისრითიდან . . . . .	41
ზადურ შუაპანი — სვანი მონადირის ჩაცმულობა . . . . .	52
სიმონ პანტაშვილი — სვანური ხალხური ინსტრუმენტი კუნირი . . . . .	56
შალვა პაპიძე — საბრძოლო დიდების ამსახველი ადგილები ქ. თბილისში . . . . .	58
ჯანდერი ჯანაძე — სოფ. ზედა წევის ეკლესიის ერთი უცნობი ეპიგრაფიკული წარწერის შესახებ . . . . .	61
იუზა გვიბაძე — სამეცნიერო კონფერენცია ელექტრომექანიკურ ქარხანაში . . . . .	63
ანოტაციები რუსულ ენაზე . . . . .	66—70

Постановление ЦК КП Грузии «О положении в республике охраны — использования памятников истории, культуры, и природы и мерах по улучшению этого дела . . . . .	5
Р. Рамишвили — Городище Жинвали . . . . .	11
В. Джорбенадзе — Жинвальский сводчатый склеп . . . . .	19
Е. Джандиери — Планировка и строительная техника безградного поселения «догородского» времени (IX—X вв.) на территории Ахалкалаки Джавахетском . . . . .	23
Н. Угрелидзе — Кухет-Руставское городище . . . . .	35
Г. Кипиани — Церковь св. Георгия в с. Исрети . . . . .	41
Ш. Шуквани — Одевание Сванского охотника . . . . .	52
С. Чантуришвили — Сванский народный инструмент «кунირи» . . . . .	56
Ш. Папидзе — Места боевой славы в г. Тбилиси . . . . .	58
Дж. Джамая — Одна неизвестная эпитафическая надпись церкви села Зеда Цена . . . . .	61
Ю. Гветадзе — Научная конференция в Электромеханическом заводе г. Кутанси . . . . .	63
Аннотации на русском языке . . . . .	64—70





საქართველოს  
სამეცნიერო

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ ПАМЯТНИКОВ КУЛЬТУРЫ

Серия: «Памятники материальной культуры»

Выходит на общественных началах  
«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ»

(Друзья памятников культуры)

Сборник сорок седьмой

(На грузинском языке)

გადაეცა წარმოებას 14/XII-77 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/XI-77 წ.,

ფიზიკურ ფორმათა რაოდ. 5, სააღრ.-საგამომც. თაბაში 4,5.

ანაწეობის ზომა 7×11,5, ქაღალდის ზომა 70×108<sup>1/2</sup>/<sub>16</sub>

შეკვეთა № 3694, ფე 03637, ტირაჟი 3.000.

რედაქციის მისამართი: ძერტინსკის ქ. № 19, ტელ. 09-81-47.

ფასი 72 კპ.

Цена 72 коп.

საქ. კვ. ც.-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი ლენინის ქ. № 14.

Тип. изд-ва ЦК К П Грузии, Тбилиси, ул. Ленина, № 14.

